საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 19 მაისი, 2007 წელი.

№ 95 (5696)

იმისთანა ჩმინდა საქმეში, ტოგორიც ბოჭდეული სიტყვაა, ცუდილებით და ჯორებით ბუნების გადანა ყველა უკარტისტაზე უსამაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

სიხარულის ცრემლი, ახალი ცხოვრების დასაწყისი და... ბოლო ზარი

ჯავარ ლომაძის ფოტო.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებმა გუშინ ბოლო ზარი აღნიშნეს.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან იტყობინებიან, საჯარო სკოლა 61 167-მა მოსწავლემ დაამთავარა. თბილისის მასშტაბით კი, 17 285 სკოლადამთავრებულია.

წლევანდელ სკოლადმთავრებულთაგან აბიტურიენტი მხოლოდ 39 278-ია. სწორედ ამდენმა მეთერთმეტეკლასელმა გააკეთა განაცხადი 2007 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად.

შეგახსენებთ, რომ 2008 წელს საქართველოს მეთერთმეტე კლასის გამოშვება აღარ ეყოლება. მომავალი წლის ნაკადს უკვე 12-წლიანი სისტემის სკოლის დამთავრება მოუწევს.

ვანდალიზმი, ბარბარეობა ხელვაჩაურში

11

მორწმუნეთა წინააღმდეგობის მიუხედავად, გუშინ, გამთენიისას ხელვაჩაურის რაიონში, ფერიის მთაზე, მშენებარე სამონასტრო კომპლექსის დემონტაჟი განხორციელდა. როგორც ხელვაჩაურის რაიონის გამგეობაში აცხადებენ, ფერიის მთა სტრატეგიული ტერიტორიაა, რომელიც რუსეთის ბაზების გასვლის შემდეგ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაეცა.

წმიდათაწმიდა სისხლს მთხლედ ნურავის გადავაქცევინებთ!

3



ხოფერია, სტეპანიანი, კვესიტაძე - ვის და რაში აძლევს ხელს რწყილის აქლემად წარმოსახვა?!

უწმინდესის განცხადებით, ახალგაზრდობაში ძალადობის ფაქტები მატულობს, ამის მიზეზი კი ნაწილობრივ ტელევიზიაა, რომლის მეშვეობითაც ყოველდღიურად ხდება მკვლელობების, ძალადობის ჩვენება.
პატრიარქის თქმით, მნიშვნელოვანია ასევე მოზარდის აღზრდასთან დაკავშირებით სკოლის, ოჯახის დამოკიდებულებაც

№ 95. შაბათი, 19 მაისი, 2007 წელი.

იყიდება, იყიდება!

ქვეყნის სიმდიდრე დახლზეა დადებული!

ლეიბორისტულმა პარტიამ განგაშის ზარები ჩამორეკა. მისთვის ცნობილია, რომ გამოცხადებულია ტენდერები ქედის, ამბროლაურის, მარტვილის, ონის, ახალციხის, ახალქალაქის, მარნეულისა და სხვა საბადოებზე. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ პრესკონფერენციაზე ეს გააპროტესტა.

„სააკაშვილის ხელისუფლებამ არა მარტო ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი გაყიდა, არამედ მას უკვე „ფიზიკურადაც" ყიდის. ამის დასტურია გადაწყვეტილებები ტყეების, ჭალების, ტბების, მდინარეების გაყიდვის შესახებ. ოფიციალური ინფორმაციით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გამოცხადებულია აუქციონი, რომელზეც იყიდება „ოქროს საწმისი" ანუ ის სიმდიდრე, რასაც ბუნებრივი საბადოები ჰქვია. ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, თუთიისა და სხვა საბადოები დახლზე გასაყიდადაა გამოტანილი", — განაცხადა მან.

წარმოუდგენელია, მაგრამ ხელისუფლების ქმედებები ყოველგვარ საზღვარს სცილდება. თუ ასე გაგრძელდა და ყველაფერი გაიყიდა, ჩვენი რაღა იქნება ჩვენსავე ქვეყანაში?!. ღმერთს ეს წალკოტი ჩვენთვის უბოძებია, ჩვენ კი ვყიდით!.. ფასდაუდებელ სიმდიდრეს უცხოტომელებს „კაპიკებად" ვუთვლით.

„მოგიწოდებთ, ყველა სოფელში, დაბაში, რაიონსა თუ მხარეში შეიქმნას დაცვის სპეციალური კომიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ანტიეროვნული გადაწყვეტილებებისთვის წინააღმდეგობის გაწევას. ამავე დროს, მივმართავთ ინვესტორებს: ეს ხელისუფლება მალე შეიცვლება და ყველა ხელშეკრულება, რომელიც კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევითაა დადებული, აუცილებლად გაუქმდება, რადგანაც საქართველოს კონსტიტუცია და მოქმედი კანონმდებლობა ბუნებრივი რესურსების გაყიდვას, პრივატიზებას და გაჩუქებას კრძალავს", — დაასკვნა გიორგი გუგავამ.

იქნებ, სანამ „ურემი გადაბრუნდებოდეს" დავფიქრდეთ ყველაფერზე?... ნუ გავუყიდით მომავალს საქართველოს!...

მაია ხორგუაშვილი

ერის სატკივარი

პატრიარქი შეშფოთებულია

მოზარდებში ძალადობის ფაქტების მატების გამო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ ჟურნალისტებისთვის კომენტარი გააკეთა.

უწმინდესის განცხადებით, ახალგაზრდობაში ძალადობის ფაქტები მატულობს, ამის მიზეზი კი ნაწილობრივ ტელევიზიაა, რომლის მეშვეობითაც ყოველდღიურად ხდება მკვლელობების, ძალადობის ჩვენება.

პატრიარქის თქმით, მნიშვნელოვანია ასევე მოზარდის აღზრდასთან დაკავშირებით სკოლის, ოჯახის დამოკიდებულებაც.

— ეკლესიამაც თავისი სიტყვა უნდა თქვას და ჩვენ ვასწავლით სიკეთეს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია, თუ მოზარდის აღზრდას ოჯახსა და სკოლაში მეტი ყურადღება მიექცევა, — აღნიშნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

ინტერპრესნიუსი

პრესკონფერენცია

ადვოკატებს დაიცავს და დასჯის კიდეც

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ კახაბერ ასლანიშვილმა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ მუშაობის ახალი სტრატეგიისა და მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ პრესკონფერენცია გამართეს.

ეთიკის კომისიას ადვოკატთა ასოციაციის წევრები 3 წლის ვადით ირჩევენ. იგი ადვოკატთა მიერ სამსახურებრივი ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტებს შეისწავლის და განიხილავს. თუ საჭიროდ ცნო, კომისიას ადვოკატის ასოციაციიდან გარიცხვისა და პროფესიული საქმიანობის უფლების აკრძალა შეუძლია.

საქართველოში ადვოკატის პროფესია რთული და კარგა სახიფათოცაა, რადგან სამართლებრივი გარემოა ძალიან რთული., საკანონმდებლო დონეზე ადვოკატებს უფლებებიც შეეზღუდათ.

„ეთიკის კომისია დაიცავს ყველა ადვოკატს, ვის საქმიანობაშიც უკანონოდ ერევიან და სადაც პირადი მოტივით დევნიან მას".

თუ კანონი თავად ადვოკატმა დაარღვია და არაკანონიერ გარიგებაში შევიდა მხარეებთან თუ ორგანოებთან, კომისია ადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებს. შევქმნით სამართლებრივ გარანტიებს, ეფექტურ მექანიზმებს, რათა ადვოკატის საქმიანობა უფრო მეტად იქნას დაცული", — განაცხადა ეკა ბესელიამ.

საქართველოს იურისტთა ასოციაციის ეთიკის კომისია იწყებს ახალ პროექტს, რომლის მიზანიც ეთიკის კოდექსის პოპულარიზება და მისი რეგიონებში მომუშავე ადვოკატებისთვის გაცნობა არის.

„ეს მათ დაეხმარებათ, უფრო მოწესრიგებულად იმუშაონ, უკეთ მოემსახურონ კლიენტებს და დაიცვან ეთიკური ქცევის სტანდარტები", — თქვა ეკა ბესელიამ.

სოფიო გოგლიძე

უღირსების დოღი?!

მოსამართლეებად ხელისუფლების მორჩილთ ნიშნავენ!

ორგანიზაციამ „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის" და „თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენლებმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ წარდგენილი მიხეილ ჩინჩალაძის კანდიდატურა გააპროტესტეს. კანდიდატურას პარლამენტმა უნდა უყაროს კენჭი.

„თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენლის ლევან გოგიჩაიშვილის თქმით, საზოგადოებრიობამ არ იცის, ვინ არის იგი, რა დამსახურებისთვის უბოძებენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მანტიას. მან აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კონსტანტინე კუბლაშვილს განუცხადებია, თუ საჯარო და გამჭვირვალე არ იქნება ინფორმაცია ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არ დანიშნავენო. „სამწუხაროდ, ხელისუფლება ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს", — დაასკვნა გოგიჩაიშვილმა.

გამომძიებელმა ცინიკურად მიუგო დაღუპულის დედას, 57 ასეთი მანქანაა და თავად გაარკვიე, შენს შვილს რომელი დაეჯახაო

მიხეილ ჩინჩალაძე 28 წლისაა და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პროკურორად მუშაობდა. იგი ღირსების ორდენითაც დაუჯილდოებიათ. პროკურატურამ ნდობა დაკარგა. იგი მხოლოდ ადეიშვილის დავალებებს ასრულებს, ჩინჩალაძე კი ადეიშვილის კლანის ერთ-ერთი რგოლიაო, ითქვა პრესკონფერენციაზე.

ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილის თქმით, კანონმორჩილი პროფესიონალების ნაცვლად, სასამართლოებში ხელისუფლების მორჩილ ადამიანებს ნიშნავენ, რომლებიც შეუფერებელნი არიან ამ თანამდებობისთვის და სკამს ებღაუჭებიანო.

პრესკონფერენციას ესწრებოდა შარშან რესტორან „კარიბჭესთან" ავტოავარიის შედეგად დაღუპული 24 წლის ახალგაზრდის დავით მერაბიშვილის დედა. თამარ მერაბიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მის შვილს, როცა ტაქსს აჩერებდა, დაეჯახა „ჯიპი", რომელსაც პატრულის მანქანა აცილებდა, საჭესთან კი ქალი იჯდა. ეს საქმე დღემდე არ გამოუძიებია მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პროკურატურას. გამომძიებელ თემურ ქობალავას კი მშობლებისთვის ცინიკურად მიუგია, 57 ასეთი მანქანაა და თქვენ გაარკვიეთ, რომელი დაეჯახა თქვენს შვილსო.

დავით მერაბიშვილის დედა სამხარეო პროკურორ ჩინჩალაძეს ადანაშაულებს ამ საქმის ჩაფარცხვაში.

„ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის" ორგანიზაციის თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ განაცხადა, რომ, თუმცა 28 წლის პროკურორს სასამართლოში მუშაობის არანაირი გამოცდილება არა აქვს, ასეთი უღირსი პარლამენტი მას მხარს მაინც დაუჭერსო! „საზოგადოებრიობის აზრი ხელისუფლებას არ აინტერესებს. ჩინჩალაძის კანდიდატურა მაინც განიხილება. ჩვენი მიზანია, ხელი შევუშალოთ არაპროფესიონა-



ლების მომრავლებას სასამართლოში", — დაასკვნა მან.

„თანასწორობის ინსტიტუტი" მოითხოვს, გადაიდოს ჩინჩალაძის კანდიდატურის კენჭისყრა პარლამენტში და მის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე და საჯარო გახდეს, რათა უზენაესი სასამართლო საბავშვო ბაღს არ დაემსგავსოს.

ნატა ნიჟარაძე

საპროტესტო აქცია

ავადმყოფი პატიმრებისთვის წამლის გადაცემის უფლებასაც არ აძლევენ

სად მიდის სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის გამოყოფილი თანხები?!

ჩვენს ციხეებში რა „ბედლამიცაა", სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსობის გარდა, ყველამ იცის. ეს უფროსობა კი ამტკიცებს, პატიმრებს, ცოტა გვიკლია, ხელის გულზე ვატარებთ, საჭმელიც უხვადა აქვთ და თითოეულ ტუსაღზე კანონით დადგენილ ფართზე მეტიც მოდისო, მაგრამ მათი რატომღაც არავის სჯერა.

არც ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციას სჯერა ეს და ამიტომაც გამართა პატიმართა ადვოკატებთან და მშობლებთან ერთად დეპარტამენტის წინ საპროტესტო აქცია.

ორგანიზაციის პრეზიდენტმა გიორგი ლაღიძემ აღნიშნა, რომ სატუსაღოებში კვლავ სრული განუკითხაობაა. პატიმართა ცემა და წამება, მტკიცებულებების შეთითხვნა, მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ყოველდღიურობად იქცა. აუტანელი ყოფითი პირობების, არაადამიანური მოპყრობის გამო, მკვეთრად იმატა პატიმართა სიკვდილიანობამ.

ციხეების ადმინისტრაციები თავის ქეიფზე წყვეტენ, როდის მისცენ ტუსაღებს ახლობლებთან შეხვედრის უფლება, როდის, რა ოდენობისა და დასახელების პროდუქტები და ნივთები შეიძლება გადაეცეთ მათ.

ციხეებში პატიმრები არიან გაწამებულნი, გარეთ კი — მათი ახლობლები, ვისაც ცალკერძ ინფორმაციის უქონლობა აშფოთებთ, ცალკერძ კი ფსიქიკის დამანგრეველი ლამის ყოველდღიური დამცირება ტანჯავთ. ეს აქციაზე შეკრებილმა პატიმართა ახლობლებმა და ადვოკატებმა დაადასტურეს. ისიც კი ითქვა, ავადმყოფებისთვის წამლების შეგზავნის უფლებასაც არ გვაძლევენო.

გიორგი ლაღიძემ სათანადო ორგანოებს მოსთხოვა, შეისწავლონ, რამდენად მიზნობრივად იხარჯება სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები.

კოტე სარალიძე

რა დღეშიც ვართ

ამ წერილის მიზანი ერთია — სამართლიანობა. საქართველო მსოფლიოში, ვგონებ, ერთადერთი ქვეყანაა, საცა არც ერთ ერს არანაირი ნიშნით არ განუცდია დევნა. და, განა, საძრახისია, მოსთხოვო მათ, იმ მიწას და იმ მიწის შვილთ ეცით პატივი, ვინც შეგიფარათ, ზოგს გენოფონდიც გადაგირჩინათ და თავს გევლებათო?

◎ სამართლიანობის სახელით

წმიდათაწმიდა სისხლს ემხლედ ნურავის გადავაქცევინებთ!

ხოფერია, სტეპანიანი, კვესიტაძე – ვის და რაში აძლევს ხელს რწყილის აქლემად წარმოსახვა?!

გუშინწინ „იმედის“ ეთერში გასულმა ქალბატონ ეკა ხოფერიას გადაცემამ (სულისკვეთებით უფრო „რუსთავი-2“-ისას რომ ჰგავდა), აქეთ-იქიდან გაზეთ „24 საათის“ ჟურნალისტი ქალბატონი ეკა კვესიტაძე და, რაკი თავიდან არ მიყურებია, ვერ გეტყვით, სახელდობრ რომელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი არნოლდ სტეპანიანი რომ უსხდნენ, მაიძულა შინ სათანადო ლიტერატურა მომეძია და, ასე ვთქვათ, მეცნიერულ დონეზე გამეცა მათთვის ღირსი პასუხი, მაგრამ გულიდან ცოტა რომ გადამიარა, ჩავფიქრდი: მადლობა ღმერთს, გვყავს სათანადო სპეციალისტები. კარგა მაგარი, ისტორიული ფაქტებით გაჯერებული პასუხი გაუციათ და გასცემენ კიდეც საქართველოსა და ქართველების მომყვნელებს, უმადურ ცილისმწამებლებს-მეთქი და ისევ „ჟურნალისტურ კალაპოტში“ დატევა ვამჯობინე. ეგეც არ იყოს, ჩიტი ბრდღვნად უნდა ფირდეს. ხომ არ შეიძლება, ბეღურას ზარბაზანი ესროლო? თუმცა, ისტორიას მთლად ვერ უგულებელვყოფ...

1994 წლის 13 ნოემბერს დედა გარდამეცვალა. მაშინ ჯერ ხმა დაირხა, ახლად შესვენებულთა საფლავებს თხრიან და კუბოებს იპარავენო. მერე ეს ოფიციალურადაც აღინიშნა (მხოლოდ აღინიშნა!) და პრესა-ტელევიზიაშიც აქა-იქ გაკრთა ორიოდ მასალა ამის თაობაზე. ეგ იყო და ეგ. მირჩიეს, სასაფლაოზე ცული წამოიღე და „სასახლე“ ისე აჩორკნე, მოსაპარად აღარ ღირდესო, მაგრამ ხელი არა და არ წამივიდა... მესაფლავემაც იფიცა და იგლიჯა ყველაფერი, ეგეთი რამ აქ მაინც გამორიცხულიაო და შევეშვი.

დაახლოებით იმავე ხანებში, კულაშში მავანი ებრაელის საფლავი გაძარცვეს. რალა თქმა უნდა, საზიზღრობა, მკრეხელობა იყო, მაგრამ ამბავი ატყდა, დედა შვილს არ აიყვანდა. შევარდნაძიდან მოყოლებული, უზომო აღშფოთებას გამოთქვამდა მთელი ოფიციოზი და პრესა-ტელევიზიაც ლამის ამის გარდა აღარც არაფერზე წერდა და არც არაფერს უჩვენებდა.

რატომ ასეთი შეუსატყვისობა?

მე კი, ღმერთმანი, დღემდე ისე მზარავს ფიქრი, ვაიდა, უსასხლოდ დამიგდეს დედა-მეთქი, სიგიჟემდე მივყავარ. რამდენჯერმე გადავწყვიტე კიდეც მეგობრებს ვთხოვ, საფლავი გავთხაროთ-მეთქი, მაგრამ ნაკურთხი საფლავის, მიცვალებულის ხელყოფა მაკავებდა და ახლაც მაკავებინებს თავს...

ისიც იყო, ცხინვალთან ოსებით სავსე სამგზავრო ავტობუსი ვიღაც ნაძირლებმა რომ დაცხრილეს. ეგრევე, ვითარების გარკვევამდე გამოვარდა შევარდნაძე, ქართველების ჩადენილია, ოსებს ბოდიში უნდა მოვუხადოთო. მერე გაირკვა, რომ ბანდიტებიც ოსები ყოფილან...

ასევე უხდიდა ის ბოდიშს აფხაზებს. ვიღაც-ვიღაცეები ახლაც გამოტყვრნენ საიდანღაც, რაღაც ორგანიზაციაც კი ჩამოუყალიბებიათ და იგივეს ამღერებენ.

ახლა ბესო ჯუღელს წაუჭირეს ყელში, ბოდიში მოგვიხადე, უპირველესად, სომხებსო. ისეთი ქარბორბალა დაატრიალეს, სხვას არას ვიტყვი, თითქოს ბაგრამიანის ბატალიონი არც კი სმენოდეთ.

ჯუღელის გამონათქვამს მყისვე — 12 აპრილს შევესიტყვე. ამიტომ ამაზე აღარას ვიტყვი. მოდით, საღად განვსაჯოთ და საკითხს სხვა კუთხიდანაც შევხედოთ.

რაკი პასუხი 12 აპრილის ნომერში დაიბეჭდა, უფალ დეპუტატს „მიკირტუმების“ ხსენება წინა დღეს უნებებია. ანუ მას შემდეგ, კარგა თვეზე მეტია გასული. მერედა, ისეთი მოუნელებელი რა თქვა, რომ ამ ხნის მანძილზე ვერა და ვერ გადაიხარშა? დაშოშმინების ნაცვლად, რატომ ძაბავენ სულ უფრო და უფრო ვითარებას? ვის და რაში სჭირდება ეს?

ვიმეორებ, ბესო ჯუღელმა რაცა თქვა, ძალზე ცუდად თქვა, მაგრამ ღირდა კი თვეზე მეტის გავლის შემდეგ ამისთვის მთელი ე. წ. საავტორო გადაცემის მიძღვნა?!

რატომ არ გვიხდიან ბოდიშს ბატონი სტეპანიანები და მათი ორგანიზაციები იგივე ბაგრამიანის ბატალიონის გამო, რატომ აქვთ პირში წყალი ჩაგუბებული? ის კი არა, სულ ახლახან საქართველოში (!) გამომავალი სომხურენოვანი ჟურნალის „ნორაშენის“ ქალბატონი რედაქტორი ცდილობდა ბაგრამიანის ბატალიონის მოქმედების გამართლებას, თან გვამადლიდა, აგერ, გმირთა მოედნის მემორიალზე დაღუპული ქართველების მერე ყველაზე მეტი, აბა, ნახეთ ვინ არიანო. ერთობ ტაქტიანი, ამომწურავი და კეთილგანწყობილი პასუხი გაეცა რედაქტორი ქალბატონის ყველა შეკითხვას ჩვენს გაზეთში და ისიც ითქვა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა, ნებისმიერი ეროვნების მოქალაქემ თავისი სამშობლო უნდა დაიცვასო...

ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ამბობდა ცხონებული აკაკი ბაქრაძე, თითქმის მილიარდიან ჩინეთს არ რცხვენია ნაციონალური ინტერესების წარმოჩენა და ჩვენ, ამ ერთ მუჭა ხალხს, ხომ ხედავთ, ვიღუპებით, რატომ გვრცხვენია, ვის ვერიდებითო?

რო მოდგა ბატონი არნოლდი და გააქანა, კომპაქტურად სომხებით დასახლებულ ადგილებში რეგიონალურ მეორე სახელმწიფო ენად სომხური გამოვაცხადოთ (ავტონომიას კიდევ სხვები მოითხოვენ), კი უნდათ ქართულის სწავლა, მაგრამ საამისო პირობები არა აქვთ, არც ადრე ზრუნავდა ამაზე ვინმეო, საზოგადოებრიობის თანასწორუფლებიანი წევრები უნდათ იყვნენო, მტკნარი სიცრუეა! ხომ მოასწრო და გაახსენა (ვიდრე ხოფერია „მიკროფონს გაუთიშავდა“) ბატონმა ლევან ღვინჯილიამ იმ რეგიონში ქართული ენის შესწავლის ეუთოს სპეციალური პროგრამა? ე.ი. ზრუნავდნენ ხომ საამისოდ?

ახლა ჩემსას გეტყვით: 1986 წელს გაზეთ „სახალხო განათლებიდან“ სპეციალურად წავედი მივლინებაში ჯავახეთის არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების დონის გასაცნობად. სახელდობრ, შედარებით უფრო „ქართულ“ რაიონებში — ახალციხესა და ასპინძაში გახლდით. ბევრს აღარ მივედ-მოვედები, არსზე გეტყვით — არ უნდოდათ მაშინ იქაურ სომხებს ქართულის შესწავლა! სომეხი მამების და ქართველი დედების შვილებმაც კი საყველპურად თუ იცოდნენ ქართული ენა.

ისე, ბატონი არნოლდის ლოგიკით, ლოს-ანჯელესშიც მეორე ოღონდ, საქალაქო სახელმწიფო ენა სწორედ სომხური უნდა იყოს! აბა, სცადონ და ერთი ენა დაასველონ ამაზე იქაურმა თქვენმა თანამოძმეებმა! გაიხსენეთ, რაც მოხდა ამას წინათ კრასნოდარის მხარეში?!

სულ რამდენიმე წუთის წინ ისე რომ ჩამოარაკრაკა რეგიონის ვითომც პრობლემა-სატკივარი, რაღა ჯავახქზე დაება ენა — „ჯავახქის“ ნაცვლად მე რას ვიტყვიო! მერე კი შემწყნარებლურად გაგვაცნობიერა, ეგენი ხომ სულ რაღაც ფედერაციულ საწყისებს მოითხოვენ და სხვას არაფერსო. როგორ, რანაირად, რის საფუძველზე?! სომხეთის პრეზიდენტი ბატონი რობერტ ქოჩარიანი კი ამბობს, აუცილებელია, საქართველოში მცხოვრებმა სომხებმა ქართული ენა ისწავლონ, ხომ წარმოუდგენელია, საფრანგეთში მცხოვრებმა სომხებმა ფრანგული არ იცოდნენ, ისე სახელმწიფო სამსახურში როგორ ჩადგებიანო?

მე თუ ვიცი ბატონ ქოჩარიანის ეს გამონათქვამი, დავიჯერო ბატონ არნოლდს არა სმენია? მაშ, რატომ არ ახსენა და რეგიონის მეორე სახელმწიფო ენად სომხური მოითხოვა?!

ქალბატონმა კვესიტაძემაც წამოყარა ცრემლი, იმ რეგიონში არც გზები იყო, არც კომუნიკაციები. ახლა როგორ არის, მართლაც არ ვიცი, თუმცა, მთელი საქართველო დაიქცა და გაპარტახდა და ახალქალაქი რა წითელი კოჭია? ადრე კი, აი, კომუნისტების დროს, ძვირფასო კოლეგა კვესიტაძევ, ეგ მხარე მთლიანად სასაზღვრო ზონა გახლდათ. მერედა, ეგებ, აგვიხსნათ, გზებისა და კომუნიკაციების გარეშე საზღვარს როგორ იცავდნენ? რეგიონს სწორედ რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და მომარაგებაც განსაკუთრებული ჰქონდა.

ამ წერილის მიზანი ერთია — სამართლიანობა. საქართველო მსოფლიოში, ვგონებ, ერთადერთი ქვეყანაა, საცა არც ერთ ერს არანაირი ნიშნით არ განუცდია დევნა. და, განა, საძრახისია, მოსთხოვო მათ, იმ მიწას და იმ მიწის შვილთ ეცით პატივი, ვინც შეგიფარათ, ზოგს გენოფონდიც გადაგირჩინათ და თავს გევლებათო? ვინც ეს შეისისხლხორცა, სომეხია, რუსი თუ აზერბაიჯანელი, იარაღით ხელში იცავდა სამშობლოს — საქართველოს — და ბევრი იმ რედაქტორი ქალბატონის ნახსენებ მემორიალზე უკვდავყოფილ სომეხ ბიჭებთან ერთად შეეწირა კიდეც მშობლიური მიწის დაცვის უკეთილშობილეს მოვალეობას.

სამარადისო დიდება მათ ხსოვნას!

ჩვენ ეს სისხლიც გვადუღებს. ამიტომ ნუ მივცემთ უფლებას მავან პოლიტიკანებს, ორგანიზაციებსა თუ ვინც გინდა იყოს, ეს წმიდათაწმიდა სისხლი მთხლედ გვიქციოს!

კონსტანტინე გურგენიძე

***P. S.** გადაცემის დასასრულ, ეკა ხოფერიას ბრძნულ შეკითხვაზე, მოიხადოს თუ არა ბოდიში ბესო ჯუღელმაო, ინტერაქტიული გამოკითხვის შედეგებმა გააკვირვა ზემოდასახელებული სამეული: დამრგვალებულად, მხოლოდ 52 პროცენტი იყო მომხრე, 48 — წინააღმდეგი. აშკარად დაიბნენ, შეცბნენ...*

კ. გ.

◎ დედაქალაქი



ჯავარ ლომაძის ფოტო.

„ქვის ფანტელი“ მაისში

აირწინალებით უნდა გვაცაროთ?!

ერთი ძველი ლოზუნგი გამახსენდა, ცოტა ხნის წინათ მეტრო „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო „დომხალი“ კიდევ რომ ვნახე. „ვაშენოთ სწრაფად, იაფად და...“ მესამე სიტყვა ჩამორეცხილი გახლდათ, ის სიტყვა კი „ხარისხიანად“ იყო.

ახლა უკვე მერამდენე დღეა, მეტრო „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ, როგორ?!.

დალოცვილო შპს-ვ, ნუთუ შრომის უსაფრთხოების დაცვის ელემენტარულ წესებში არ ჩაგიხედავს? განა კი შეიძლება ქვის ჭრის „ფქვილი“ ამდენ ხალხს (გნებავთ, ერთ კაცს!) ცხვირ-პირში აფრქვიო და, მით უმეტეს, ასუნთქო?!

თქვენ კეთილად ბრძანდებოდეთ, ბატონო მკითხველო, არავის წარბი არ შეუტოკდება — ისევ იმდენივე ქვის „ფანტელს“ შემოგვაფრქვევენ, რამდენიც მოესურვებათ.

ერთი კითხვაც დამებადა: განა მშენებლობებზე (დამკვეთის გარდა) საავტორო ზედამხედველობის უფლება აღარ არსებობს? თუ მარტო ისაა საქმე, ოღონდ, დროებით იყოს, მერე კი, ახალი აეროპორტივით, წყალმა წაიღოს.

ოთარ ტურაბელიძე

№ 95. შაბათი, 19 მაისი, 2007 წელი.

განიჯა

საინტერესოა ხელისუფლების პოზიციაც. მათ თავიდან ვითომ უკან დაიხიეს, როდესაც ბატონ ბესო ჯუღელს ის უაზრო განცხადებები გააკეთებინეს (გაზის ტარიფზე ვამბობ და არა „მიკირტუმაზე“. პრინციპში, რომელი უფრო უაზროა ვერ ვიტყვი), მაგრამ შემდეგ კიდევ უფრო უარესი რაღაც-რაღაცები ჩაიდინეს. მაგალითად, „მწვანეების“ გამოსახლება, ტყეების ჩინელებზე მიყიდვა და კიდევ მრავალი სხვა, რომლებსაც გვირგვინად ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები დაადგეს

პოზიცია

ეს სათაური ზუსტად შეესაბამება ყველა იმ პროცესსა თუ მოვლენას, რაც დღეს საქართველოში ხდება.

დავიწყოთ ყველაზე მთავარი და მოსახლეობისთვის ყველაზე საჭირბოროტო საკითხით – სოციალური მდგომარეობით.

დება ევროპასთან გაიოლებული სავიზო რეჟიმის შესახებ. მე მგონი დასკვნების გამოტანა რთული არ იქნება.

გაყიდულია რუსთაველის პროსპექტი, შავი ზღვის სანაპირო, ტყეები, საძოვრები, მდინარეები და, სავარაუდოდ, ჰაერიც.

„ქორთიარდ მერიოტთან“ მისულმა ჯონდი ბაღათურიამ, ცხადია, არ ისარგებლა მიწისქვეშა გადასასვლელით, რამაც პატრულის აღშფოთება გამოიწვია (გაუშვი რა, ხომ იცი მაინც გადავა, მაგრამ . . . ეჰ,). ეს აღშფოთება გარკვეული შეხლა-შემოხლის შემდეგ სწრაფად ჩაახ-

დასასრულის დასაწყისი

გაძვირდა გაზისა და ტრანსპორტის გადასახადი.

ეს პრობლემა მრავალჯერ განიხილეს სხვადასხვა სახის შეკრებებსა, სხდომებსა, თუ ბრიფინგებზე. ასევე ხელისუფლებისგანაც წამოვიდა რაღაც უცნაური სახის ინიციატივა, რომლითაც ბატონი ჯუღელი გვამცნობდა მოსახლეობაზე „ზრუნვის“ ახალ, ჯერ არნახულ მეთოდს, მეთოდს, რომლითაც გაძვირებული ტარიფი მხოლოდ შეძლებულ ფენას უნდა გადაეხადა. მე არ მოვყვები ამ ინიციატივის აბსურდულობის მტკიცებას, რადგანაც ეს ისედაც ნათელია. უბრალოდ ვიტყვი, რომ გაზის გაძვირება მარტო იმ პროდუქტის გაძვირებას არ ნიშნავს, რომლის წარმოებაც უშუალოდ გაზზეა დამოკიდებული. გაძვირდება ყველა სახის საქონელი, რადგანაც იმ საქონლის მწარმოებელს თუ გამყიდველს სახლში გაძვირებული გაზის ქვითარი დახვდება.

ანალოგიური მდგომარეობა იქნება ტრანსპორტის გაძვირების შემდეგ, რადგანაც ნებისმიერი მაღაზიის თუ ბაზრობის რიგითი გამყიდველი იძულებული იქნება გააძვიროს თავისი პროდუქტი, რადგანაც მან ამ პროდუქტის გასაყიდ ადგილამდე მისვლაში ორჯერ მეტი თანხა უნდა გადაიხადოს.

ქვეყანაში გამეფებულია შიში და ძალადობა.

ამ საკითხის ირგვლივ ფაქტების კონკრეტულ ჩამონათვალს არ გავაკეთებ, რადგანაც დღე არ გავა, რომ არ მოხდეს უმძიმესი დანაშაულობები, რომელსაც არა ძველი კრიმინალები, არამედ 14-15 წლის ბავშვები სჩადიან. გაახალგაზრდავდა ყველაზე საშინელი სენი – ნარკომანია, და საერთოდ, დანაშაული კი არ შემცირდა, არამედ გაახალგაზრდავდა და გაიზარდა.

დაშინებული არიან ბიზნესმენებიც. იმდენად არიან დაშინებული, რომ რიყეზე დასანგრევად მისულ ტექნიკას დახვდნენ სანთლებითა და პლაკატით: „შენი იმედი გვაქვს, მიშა“ (ჩემთვის პირადად ეს ძალიან გაუგებარია, მაგრამ შიში, ალბათ, ყველაზე უაზრო გადაწყვეტილებებისკენ უბიძგებს ადამიანს).

ქვეყანაში საშინელი მდგომარეობაა მოსახლეობის დასაქმების მხრივ.

მასობრივი უმუშევრობა, რომელსაც ყოველი ჩვენგანი საკუთარ გარემოცვაში ხედავს ჩინური ექსპანსიის ფონზე, რბილად რომ ვთქვა, საკმაოდ მძიმე მოვლენაა ქვეყნისთვის და ამ დროს საინფორმაციო საშუალებებიდან ისმის ბედნიერი ხელისუფლების განცხადებებს აკრძალული აქვთ ტყეში ფიჩხის შეგროვება, აკრძალულია თევზის დაჭერა, ნადირობა (არა გართობისთვის, არამედ ელემენტარული სარჩოს მოსაპოვებლად). გასხვისებულ რუსთაველის პროსპექტზე და შავი ზღვის სანაპიროზე შენდება სასტუმროები, მაგრამ ფრიად საეჭვოა, რომ იქ ქართველებმა არამც თუ დაისვენონ, არამედ რაიმე სახის სამუშაოც იპოვონ.

...და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი პრობლემაა, რომლებიც უკვე დაგლეჯილი ვარდის ფურცლებიდან ეკლებად ესობა საქართველოს მოსახლეობას.

ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობა ვერ დარჩებოდა რეაქციის გარეშე ვერც თავმოყვარე პოლიტიკური ძალისა და ვერც თავმოყვარე მოქალაქისგან. ვერ დარჩებოდა და აგორდა, აგორდა და თქვენ წარმოიდგინეთ გარკვეული შედეგიც მოიტანა.

სკეპტიკურ მკითხველს გაეცინება და „რა აგორდაო, რა შედეგი, რის შედეგიო“, იტყვის. ახლავე გეტყვით. პირველი და უმთავრესი შედეგი, რაც მოიტანა იმ მიტინგებმა, რომლებიც ყოველ სამშაბათს და პარასკევს პარლამენტის წინ იმართება, ისაა, რომ დაფიქსირდა ოპოზიციურ ძალთა გაერთიანების პირველი, მაგრამ საკმაოდ მტკიცე ნაბიჯები.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ქართულმა დასმა“ და „პენსიონერთა პარტიამ“ 17 აპრილს 14 საათზე მერიის წინ საპროტესტო აქცია დანიშნეს, რომელზეც სხვა სოციალურ საკითხებთან ერთად წინა დღით სემეკის მიერ გაზის ტარიფის გაძვირება უნდა გაეპროტესტებინათ. იმავე დღეს 13 საათზე პარლამენტის წინ დანიშნული იყო ვეტერანთა აქცია, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია და ვეტერანთა სხვადასხვა გაერთიანებები მართავდნენ. ასევე ქალაქში დანიშნული იყო კიდევ რამდენიმე საპროტესტო აქცია.

პარლამენტის წინ ვეტერანთა აქცია ის-ის იყო დაიწყო და გამომსვლელები თავიანთი პროტესტის გამოსახატად მოემზადნენ, რომ აქციას „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია შეუერთდა. ის არ დაელოდა თავის რიგს მეგაფონთან და იმ ქარიზმით, რომელიც ასე ძალიან მოენატრა ქართველ ხალხს, ამცნო ქალაქში არსებული სხვადასხვა აქციის შესახებ და იკითხა, რა სურდათ მათ: – გაერთიანებულიყვნენ, თუ ცალცალკე გაეგრძელებინათ მოთხოვნების წამოყენება. მომიტინგეთა სურვილი, ბუნებრივია, გაერთიანება იყო. ხალხის ამ მოთხოვნას შეუერთდნენ აქციაზე მოსული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიის „ჩვენ თვითონ“ ლიდერები. მოეწყო მსვლელობა მერიის მიმართულებით.

შო მართლაც აღშფოთებულმა ხალხმა და მერიასთან შეკრებილ „ქართული დასისა“ და „პენსიონერთა პარტიის“ წევრებს შეუერთდა, მანამდე კი მერიასთან უკვე მისულები იყვნენ პარტია „თავისუფლების“ წევრები, რომლებმაც საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს ერეკლეს მოედნიდან მერიამდე.

აქციამ საკმაოდ მასშტაბური ხასიათი მიიღო და ამ პროცესის მიტოვება აღარ შეიძლებოდა. ამიტომ პარტიებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები სერიოზულად დაფიქრდნენ ხალხის მიერ მათს წინაშე დაყენებულ მოთხოვნაზე – გაერთიანებულიყვნენ.

და თქვენ წარმოიდგინეთ – გაერთიანდნენ!

რა თქმა უნდა, იყო გარკვეული წინააღმდეგობები, შიში ერთმანეთის მიმართ, სიფრთხილე, აზრთა სხვადასხვაობა და იყო მცდელობა, ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინათ ჯონდი ბაღათურია და კობა დავითაშვილი (რომ უნდა დაეპირისპირებინათ, ბუნებრივია, რადგანაც ბაღათურია+დავითაშვილი+დავითაია+ლილუაშვილი+გამსახურდია+ნაცვლიშვილი+გაჩეჩილაძე +++დ.ა.შ ძალიან დიდი ძალაა, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ამ დაპირისპირების გაღვივებას ერთ-ერთი ე.წ. ოპოზიციური ტელეარხი ცდილობდა), მაგრამ ეს დაპირისპირება არ შედგა. პირიქით, მათი აქციები ერთმანეთს შეუერთდნენ და წვიმაში, სიცივეში, ქარში კანცელარიასთან დააფიქსირეს ერთობა.

ამ ერთობას, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ხალხის უმთავრეს მოთხოვნას, ნელ-ნელა საპარლამენტო ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელიც შეუერთდა. აქციებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო.

ყველა ამ სიკეთესთან ერთად, გამოიკვეთა ფრიად საინტერესო მოვლენა, ანუ მოსახლეობის უცნაური დამოკიდებულება პროტესტის გამოხატვის მიმართ. უცნაური იმიტომ, რომ მომიტინგეთა რაოდენობა 15 000 კაცზე მეტი არ ყოფილა.

მოდით ვნახოთ, თუ რა არის დაჩაგრული, გატყავებული, უსახლკაროდ დარჩენის საფრთხის ქვეშ მყოფი ადამიანების პასიურობის მიზეზი.

მოსახლეობა იყოფა რამდენიმე ფენად, რომელთა მდგომარეობა მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისგან. მათგან ყველაზე მძიმე პირობებში არიან უმუშევრები, რომლებიც იძულებულნი არიან ყოველდღე ირბინონ სულ მცირე 2 ლარის საშოვნელად, რათა პური და ორიოდე თავი ხახვი მაინც მიიტანონ სახლში. ამ ადამიანებისთვის მიტინგზე მისვლა, ფაქტობრივად, იმ დღეს ოჯახის მშიერად დატოვებას ნიშნავს.

მეორე კატეგორიას წარმოადგენს ის ხალხი, რომლებიც ასე თუ ისე დასაქმებულად ითვლებიან. ისინი არიან რაიმე მცირე ბიზნესში ჩართული ადამიანები (ვთქვათ მშენებლობაზე, სადმე თონეში ან ბაზრობაზე გამყიდველად დაქირავებულნი). მათ აქვთ გარანტირებული ყოველდღიური თანხა, რომელიც 15 ლარს არ აღემატება. ეს ადამიანებიც ძნელად მივლენ საპროტესტო აქციაზე, რადგანაც უმრავლესობას რაიმეს შეცვლის იმედიც არა აქვს.

მესამე ფენას წარმოადგენენ მცირე მეწარმეები და ვეტერან-პენსიონერები. მათ ნამდვილად აქვთ დრო და სურვილი, გამოხატონ საკუთარი პროტესტი ხელისუფლების დემარშების წინააღმდეგ, რადგანაც მცირე მეწარმეებს გააჩნიათ გარკვეული შემოსავალი და ხელისუფლების მოქმედებები პირდაპირ ურტყამს ამ შემოსავლებს (თუნდაც იმით, რომ მომხმარებლის რაოდენობა მცირდება), ხოლო ვეტერან-პენსიონერებს თავიანთი 38 ლარის გარდა არანაირი პერსპექტივა არ უჩანთ (ამას პლუს გაუქმებული შეღავათები). აი, ეს კატეგორიაა დღევანდელი აქციების სული და გული, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი რაოდენობა მკაცრად განსაზღვრულია და 10-15 ათასს არ აღემატება.

მეოთხე ფენაა დიასახლისები და სტუდენტები. მათ ნამდვილად აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ მივიდნენ აქციებზე, მაგრამ, ალბათ, დიასახლისებს სერიალების ყურება და რომელიმე მარიაზე ან ანდრესზე დარდი ურჩევნიათ თავიანთი შვილების მომავალზე ფიქრს, ხოლო სტუდენტებს ნაცმოძრაობისგან დარიგებული მაისურების ჩაცმა და ინტერნეტში ჩეთაობა (რადგანაც არა მგონია უმრავლესობას „ნაით ოფისის“ ფული ჰქონდეს) ურჩევნიათ გასხვისებული „დავით გარეჯის“ გამო პროტესტის გამოთქმას.

საინტერესოა ხელისუფლების პოზიციაც. მათ თავიდან ვითომ უკან დაიხიეს, როდესაც ბატონ ბესო ჯუღელს ის უაზრო განცხადებები გააკეთებინეს (გაზის ტარიფზე ვამბობ და არა „მიკირტუმაზე“. პრინციპში, რომელი უფრო უაზროა ვერ ვიტყვი), მაგრამ შემდეგ კიდევ უფრო უარესი რაღაც-რაღაცები ჩაიდინეს. მაგალითად, „მწვანეების“ გამოსახლება, ტყეების ჩინელებზე მიყიდვა და კიდევ მრავალი სხვა, რომლებსაც გვირგვინად ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები დაადგეს (ახლა კიდევ ოქრუაშვილმა პრემიერ-მინისტრობაზე უარი თქვა და ოპოზიციონერობას აპირებსო. არ ვიცი, არ ვიცი...)

მაგრამ მიუხედავად ყველაფერ ამისა, ხალხს სამუშაო უნდა, ხალხს მომავალი უნდა, ხალხს ნორმალურად ცხოვრება უნდა.

მე მგონი დასასრულის დასაწყისი დაიწყო.

გია გაბრიჩიძე

საკონსტიტუციო სასამართლო

კანონი ნაკლოვანად ცნეს

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმა, რომელიც ავალდებულებდა აქციათა 5 პროცენტის ან უფრო ნაკლები რაოდენობის მქონე აქციონერს 95 პროცენტის მფლობელი აქციონერის მოთხოვნის შემთხვევაში, მიეყიდა მისი კუთვნილი აქციები.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა მსხვილ აქციონერებს აძლევდა აქციების თვითნებურად, დასაბუთების გარეშე, გამოსყიდვის საშუალებას და წვრილ აქციონერს არ ჰქონდა მსხვილი აქციონერის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, თავის დაცვის საშუალება. აქციის გამოსყიდვის ფასის გამოანგარიშების წესი ასევე ხარვეზიანი იყო, რაც შესაძლებლობას იძლეოდა აქციები სამართლიან ფასზე მნიშვნელოვნად დაბალ ფასად ყოფილიყო გამოსყიდული.

ინფორმაცია

სოხუმს ახალი მერი ჰყავს

თვითგამოცხადებული აფხაზეთის ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა სოხუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი ალიას ლაბახუა მერიის თანამშრომლებს წარუდგინა.

სერგეი ბაღაფშმა ქალაქის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს განუმარტა, მის მიერ ქალაქის მერიის მისამართით მიღებული საკადრო გადაწყვეტილებების მიზეზები.

სერგეი ბაღაფშის თქმით, ქალაქის ყოფილმა ხელმძღვანელობამ ვერ გაამართლა პრეზიდენტისა და მთავრობის იმედები.

„ქალაქის მერიაში, საბიუჯეტო თანხების გაფლანგვასთან დაკავშირებულ დანაშაულის ჩადენას ჰქონდა ადგილი. ვინც არ უნდა იყოს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ დანაშაულის ჩადენას დასჯა მოჰყვება“, – განაცხადა ბაღაფშმა.

აფხაზური მხარის ინფორმაციით, ამჟამად ფინანსური შემოწმება ოჩამჩირის რაიონშიც მიმდინარეობს. სერგეი ბაღაფშის თქმით, ეს პროცესი აფხაზეთის ყველა რეგიონში განხორციელდება.

ХО-ЭОБ-ЭБО

არჩევანი, თქვენ...

● საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მხარს არც ერთი სახელმწიფო არ დაუჭერს, თუ ისინი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში რაიმე საფრთხეს დაინახავენ, რადგან ასეთ პირობებში ორგანიზაციაში შესვლა თავად ნატოსა და რუსეთს შორის კონფრონტაციის დაწყებას გამოიწვევს.

◎ პოლიტიკური სპექტრი

სალომე ზურაბიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ემზადება

საქართველოს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი, პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება. თავისი კანდიდატურის წარსადგენად ის უკან არაფერზე იხევს და ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეობის მისაღებად საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას მოითხოვს. როგორც ზურაბიშვილმა „პირველთან“ საუბრისას განაცხადა, მან, „როგორც წარმატებულმა მინისტრმა სულ მცირე, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატობა მაინც დაიმსახურა“ და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის საარჩევნო სტრატეგიაზეც მუშაობს.

– ქალბატონო სალომე, 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწადზე მეტი რჩება. უკვე დაიწყეთ საარჩევნო პიარ-კამპანიის წარმოება, თუ ჯერ არ ჩქარობთ?

– ვჩქარობთ, თუმცა გარკვეული პრობლემების გამო ამ ეტაპზე მხოლოდ შესაბამის სტრატეგიაზე მუშაობით შემოვიფარგლებით. პიარ-კამპანიის წარმოება ფინანსებთან არის დაკავშირებული, „საქართველოს გზას“ კი ამ მხრივ პრობლემა ნამდვილად აქვს. მით უმეტეს, ახლა, როცა ჩვენი გაერთიანება შესაძლოა, სახელმწიფო დაფინანსების გარეშე დარჩეს.

– პარტიების დაფინანსების ახალ წესს ხომ არ გულისხმობთ, რომელზეც პარლამენტი ამჟამად მუშაობს?

– დიახ. თვითმმართველობის ორგანოების გასული წლის არჩევნების მონაწილე პარტიებიდან „საქართველოს გზა“ ერთადერთი იქნება, რომელიც, როგორც ჩანს, ახალი კანონის ფარგლებში დაფინანსებას ვერ მიიღებს. ადგილობრივ არჩევნებში ჩვენ ხმათა 2,95 პროცენტი დავაგროვეთ, პარტიების დაფინანსების ქვედა ზღვრად კი შესაბამის კანონპროექტში 3 პროცენტი განისაზღვრა. ჩემი აზრით, ხელისუფლებამ საარჩევნო პიარ-კამპანიის წარმოება ამ დოკუმენტის შემუშავებით დაიწყო.

– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ პარტიების დაფინანსების ქვედა ზღვარი ხელოვნურად გაიზარდა?

– რა თქმა უნდა! „საქართველოს გზა“ ახალი პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელთანაც ხელისუფლებას არანაირი თამაში არ გამოსდის. ამ მარტივი ხერხით – დაფინანსების შეზღუდვით კი ჩვენ, როგორც ძლიერ კონკურენტს ტაქტიკურად გვიშორებენ.

– თქვენ, ხელისუფლების მიერ ოპოზიციის დისკრიმინაციაზე საუბრობთ...

– მართალია. მეტიც, ხელისუფლებას ოპოზიციის და ამ კონკრეტულ შემთხვევაში „საქართველოს გზის“ დისკრიმინაცია ახლა არ დაუწყია. არალეგალური ფორმით ჩვენს განადგურებას ის თვითმმართველობის არჩევნებზეც ცდილობდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ „საქართველოს გზას“ არც ერთი ტელეკომპანიის ეთერში უფასო სარეკლამო დრო არ გამოეყო. ამის მიზეზად ის გარემოება დამისახელეს, რომ საზოგადოებრივ გამოკითხვებში ჩვენს პარტიას საკმარისზე მეტი მხარდამჭერები არ ჰყავდა, რეალურად კი არანაირი გამოკითხვები არ ჩატარებულა. ამის გამო მოსახლეობამ დაზუსტებით ისიც კი არ იცოდა, „საქართველოს გზა“ არჩევნებში მონაწილეობდა თუ არა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ხელისუფლება ოპოზიციის ლეგალურ დისკრიმინაციას ეწევა. მას ახალი ოპოზიციური პარტიების ეშინია და არა იმ გაერთიანებების, რომლებთანაც თამაშის გარკვეული წესები უკვე დაადგინა.

– ქალბატონო სალომე, საუბრის დასაწყისში სტრატეგია ახსენეთ... როგორია არჩევნებში გამარჯვების თქვენი სტრატეგია და მის ფარგლებში ოპოზიციის გაერთიანების შესაძლებლობას ხომ არ განიხილავთ?

– დიახ, ჩვენს სტრატეგიაში ოპოზიციასთან მუშაობა ნამდვილად შედის. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა ორმხრივი შეხვედრები გავმართეთ, რომლებზეც საარჩევნო სისტემასთან, კოდექსსა და კანონმდებლობასთან დაკავშირებით ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები გავუზიარეთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მომავალი კვირიდან ექსპერტთა ჯგუფი შეიქმნება, რომელიც გაერთიანებულ ოპოზიციას ერთიანი სტრატეგიის შემუშავებაში დაგვეხმარება. სხვათა შორის, პირადად მე ოპოზიციასთან მუშაობა საშუალებას მომცემს გავერკვე, მომავალში ვისთან შემეძლება თანამშრომლობა.

– რომელიმე ოპოზიციურ პარტიასთან ალიანსის შექმნას ხომ არ აპირებთ?

– არა, ამაზე საუბარი, ჯერჯერობით, ნაადრევია. ამ ეტაპზე მხოლოდ აღნიშნულით და საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩემი კანდიდატურის დაყენების საკითხით ვარ დაკავებული.

– მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებში თქვენს, როგორც საქართველოს ნახევარუფლებიანი მოქალაქის, მონაწილეობას ქვეყნის კონსტიტუცია კრძალავს...

– დიახ, მაგრამ რეფერენდუმის ფორმით მის შეცვლას მოვითხოვ. ამ მიზნით ხელმოწერების შეგროვებას ვიწყებ. თუ ეს არ გამოვა, მაშინ სხვა ფორმას ავირჩევ და საქართველოს კონსტიტუციაში ჩადებული შესაბამისი მუხლების შეცვლის მოთხოვნით პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივითაც შევალ. მე არ მჭირდება საქართველოს ნახევრადმოქალაქეობა, მე მინდა, ჩემი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე ვიყო. კონსტიტუციაში ჩადებული რამდენიმე მუხლი კი, რომელიც მე ამის უფლებას მართმევს და შესაბამისად, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიკრძალავს, დიასპორის დისკრიმინაციისკენ არის მიმართული. თუ ხელისუფლება ჯანსაღი კონკურენციისთვის მზად არის და ქვეყანაში დემოკრატიული სტანდარტების დანერგვა სურს, მაშინ კონსტიტუციაში ცვლილება თავისივე ინიციატივით უნდა შეიტანოს. ჩემთვის შეურაცხმყოფელია, მინისტრად რამდენიმეწლიანი მუშაობისა და იმ ყველაფრის შემდეგ, რაც საქართველოსთვის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების კუთხით გავაკეთე, საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის დაყენების საშუალება არ მქონდეს.

– როგორც პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატს, ალბათ, ცალკე სტრატეგიაზეც მოგიწევთ მუშაობა...

– უკვე ვმუშაობ. სხვათა შორის, მას სექტემბრის თვეში გამოვცემ კიდეც.

– და რას პირდებით ხალხს? საიდან დაიწყებდით რეფორმების განხორციელებას?

– სასამართლო სისტემიდან. ქვეყნის აღმშენებლობისა და განვითარებისთვის ეს საწყისი ეტაპია. შემდეგ ეკონომიკური რეფორმები და ფინანსები მოდის. მაგალითად, ლარის ხელოვნური გამყარება, რაც ჩვენს სინამდვილეში ხდება, მიუღებელია. დოლარი და ლარი ერთმანეთთან ხელოვნურ შეფარდებაშია, მაშინ, როცა ლარი გაცილებით იაფი უნდა ღირდეს. თუმცა ქვეყანაში არსებული კონფლიქტები მაინც პრიორიტეტული იქნებოდა.

– მოდით, ამ თემაზე უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ. რას იტყვით თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის იდეაზე და იმაზე, რომ მის ხელმძღვანელად დიმიტრი სანაკოევი დაინიშნა? საინტერესოა ისიც, თუ რა შეფასებას აძლევთ საქართველოს პარლამენტში სანაკოევის გამოსვლას.

– კონფლიქტის წლებიდან მოყოლებული, ქართულმა მხარემ ოსურს უკვე ხუთი სამშვიდობო გეგმა შესთავაზა, რომელთაგან ვერც ერთი ვერ განხორციელდა. დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა ის უკანასკნელი წინადადებაა, რომლითაც ქართულ მხარეს შეუძლია ოსურს მიმართოს, – ოს სეპარატისტებს სხვა ვერაფერს მიმზიდველს ვერ შევთავაზებთ. თუმცა სამწუხაროდ, ცენტრალური ხელისუფლება ამ ბოლო კოზირსაც სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში იყენებს, რადგან რეალურად სანაკოევის „მხარე“ არ არსებობს. თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი, რომელიც, როგორც კონფლიქტური მხარე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არის აღიარებული, მოლაპარაკებებზე უარს აცხადებს, დიმიტრი სანაკოევი კი ოფიციალური თბილისის მიერ ხელოვნურად შექმნილი „ვითომ მხარეა“, რომელიც საქართველოს პარლამენტში მოვიდა და დადგმული სპექტაკლი წარმოგვიდგინა. მას არ დაუკონკრეტებია, სურს თუ არა კონფლიქტური რეგიონი საქართველოს იურისდიქციას დაექვემდებაროს და არც ის, უნდა თუ არა აღდგეს ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“. ამას ემატება ისიც, რომ სანაკოევი რუსულად გვესაუბრება. ჩემი აზრით, ის, რაც ეხლა ე.წ. სამხრეთ ოსეთში ხდება, უბრალოდ ბლეფია.

– თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია მხარეებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების დაწყება იმ ფონზე, როცა კოკოითმა შესაძლოა, მოლაპარაკებებზე უარი საბოლოოდ თქვას?

– ვფიქრობ, რომ შეიარაღებული დაპირისპირების გამოწვევაზე ხელისუფლება თავად „თამაშობს“. ამაზე სოფელ განმუხურში „პატრიოტული ბანაკის“ მშენებლობა მეტყველებს. ამ ტერიტორიაზე კონფრონტაციული სიტუაციები ყოველ წუთს არის მოსალოდნელი. მესმის, რომ ხელისუფლებას იქ თავისი კონტროლის გამკაცრება სურს, თუმცა ამისთვის ბავშვების გამოყენება დაუშვებელია. მართალია, ახალგაზრდებს ჰგონიათ, რომ ქვეყანა დროშების ფრიალით აშენდება, რისთვისაც მათ მედლებს გადასცემენ, მაგრამ რეალურად ეს ასე არ არის. მე ყველა მშობელს მოვუწოდებ, განმუხურის პატრიოტთა ბანაკებში შვილები არ გაუშვან.

– თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება, თუ კოკოითი დიალოგზე უარს იტყვის?

– უნდა ვაიძულოთ, რომ ასე არ მოიქცეს. ამას დიპლომატიური ზეწოლა ჰქვია. თუ ოსი სეპარატისტები კონფლიქტური სიტუაციის მოლაპარაკებათა ფორმატში დარეგულირებაზე უარს იტყვიან, მაშინ ამ პროცესში ამერიკის შეერთებული შტატები და საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა ჩაერთონ. სწორედ მათი ჩარევით, თუნდაც რეფერენდუმის გზით, ახალი არჩევნების დანიშვნა და ამ რეგიონისთვის ხელმძღვანელის და არა პრეზიდენტის არჩევა უნდა განხორციელდეს. გარდა ამისა, არსებობს მეორე გზაც. კოკოითი შიგნიდან უნდა დამარცხდეს. ოს სეპარატისტთა შორის შიდა რევოლუცია უნდა მოხდეს. ამისთვის თვითაღიარებულ სამხრეთ ოსეთში ალტერნატიული ძალები არსებობს.

– ვის გულისხმობთ?

– კონკრეტულად არავის, თუმცა ისეთი ძალა უნდა მოინახოს, რომელიც ცხინვალის რეგიონში დემოკრატიული ცვლილებების მომხრეა და რომელსაც კონფლიქტური სიტუაცია მობეზრებული აქვს.

– ქალბატონო სალომე, მოდით, თემა შევცვალოთ. რამდენიმე დღის წინათ საფრანგეთმა ახალი პრეზიდენტი აირჩია. როგორ ფიქრობთ, ხომ არ შეიცვლება ამით საფრანგეთის პოზიცია საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით?

– საფრანგეთის დამოკიდებულება პირველ რიგში რუსეთის მიმართ შეიცვლება. ის პოზიტიური ურთიერთობა, რაც ორ ქვეყანას დღემდე აკავშირებდა, შესუსტდება და ბევრად უფრო პრაგმატული გახდება. რაც შეეხება საქართველოს, ვფიქრობ ნიკოლა სარკოზის პრეზიდენტობის დროს საფრანგეთ-საქართველოს პოლიტიკა უფრო თავისუფალი გახდება. ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით კი საფრანგეთი ყოველთვის ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა. ეს სახელმწიფო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების მომხრე მაინცდამაინც არ არის, თუმცა თუ საქართველოს ნატოში ინტეგრაციას ორგანიზაციის წევრი 26 სახელმწიფოდან უმრავლესობა დაუჭერს მხარს, ამის წინააღმდეგ არც საფრანგეთი წავა. ჩემი აზრით, საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციასთან დაკავშირებით თარიღების დასახელება ნაადრევია. შეიძლება, 2008 ან 2009 წელს განევრიანების სამოქმედო გეგმაზე მართლაც გადავიდეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნატო კარს გვიღებს. ალბანეთი და კიდევ რამდენიმე სახელმწიფო უკვე ექვსი წელია, "MAP"-ზე არიან გადასულები, თუმცა... საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მხარს არც ერთი სახელმწიფო არ დაუჭერს, თუ ისინი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში რაიმე საფრთხეს დაინახავენ, რადგან ასეთ პირობებში ორგანიზაციაში შესვლა თავად ნატოსა და რუსეთს შორის კონფრონტაციის დაწყებას გამოიწვევს.

ლელა გაღდავაძე,
საინფორმაციო სააგენტო „პირველი“

№ 95. შაბათი. 19 მაისი. 2007 წელი.

„აფხაზეთი“, ვინ დაგვანათლა ეს სახელი?

● აფხაზების ძველი სახელწოდების „აბასხის“ ეთნიკურ ტერმინ „მესხთან“ დაკავშირების იდეა ნიკო მარს ეკუთვნის, თუმცა საკითხის მეცნიერული განხილვა და გაანალიზება შემდგომ პ. ინგოროყვამ მოახდინა



◎ ისტორია

პირველყოვლისა, მინდა შეეხო ეთნონიმ „აფხაზეთის“ და „აფხაზის“ საკითხს. გასაკვირია, რომ ზოგიერთ სამეცნიერო წრეში ამ საკითხს გადაუწყვეტლად თვლიან. ვფიქრობ, „გიორგი მერჩულეს“ ავტორმა სავსებით ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი აზრი ამ საკითხზე; იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ ტერმინი „აფხაზეთი“ სახენაცვალი ფორმაა „აბასხეთისა“ (პ. ინგოროყვა „გიორგი მერჩულე“. გვ. 137). ამ ეთნოსის გაშიფვრას, ვფიქრობ, სხვა თუ არა, მხარის ეთნიკურ განსაზღვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთმა მკვლევარმა სცადა ეს ტერმინი დაეკავშირებინა მეგრულ სიტყვა „აფხასთან“ (ზურგი). მაგრამ ცდა იმდენად სუსტი და არადამაჯერებელია (ასეთ შემთხვევაში „აფხადან“ უნდა წარმომდგარიყო „აფხაეთი“ და არა „აფხაზეთი“!), რომ მასზე ყურადღების შეჩერება არ ღირს. რაც შეეხება ქართულ ტოპონიმებს „აფხავი“ და „ფხოვი“, ბგერათკომპლესის (“ფხ“) დამთხვევა აქ არაფერს არ ამტკიცებს და მკვლევარის სურვილის ფარგლებს ვერ სცილდება.

პავლე ინგოროყვამ მეცნიერულად შეისწავლა აფხაზეთის ტოპონიმიკა (136 ტოპონიმი და ჰიდრონიმი), მივიდა დასკვნამდე, რომ ყველა ისინი (გარდა ბოლო საუკუნეებში ახლადშერქმეული აფსუანურისა) ეკუთვნიან ქართულ ენობრივ სამყაროს — უპირატესად, <u>რაც განსაკუთრებით საყურადღებოა,</u> ქართულს (მესხურს).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პ. ინგოროყვა, ისევე როგორც ივ. ჯავახიშვილი, მესხთა ეთნიკური სახელის მეზობელი ხალხის მეხსიერებაში დანალექი ტერმინია.. ცნობილი მეცნიერი ლემან ჰაუპტი აღნიშნავდა, რომ ქართები (იბერიელები) მესოპოტამიიდან წამოსული კარდუხებისა და მცირე აზიიდან (კაბადოკიიდან) წამოსული მესხების შერწყმაა.

აფხაზების ძველი სახელწოდების „აბასხის“ ეთნიკურ ტერმინ „მესხთან“ დაკავშირების იდეა ნიკო მარს ეკუთვნის, თუმცა საკითხის მეცნიერული განხილვა და გაანალიზება შემდგომ პ. ინგოროყვამ მოახდინა.

პავლე ინგოროყვას მიაჩნდა, რომ „მოსხთა“ ტომები განსახლებული იყვნენ არა მარტო ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიაში (ჭოროხის ხეობა სამცხიდან სპერამდე), არამედ შავი ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთითაც (დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია) და იმოწმებს ჰეკატე მილეთელს (მე-5 საუკ. ძვ. წ.-თ), პალეფატე აბადოსელს (მე-4 ს. ჩვ. წ.-მდე) და სტრაბონის დროინდელ მითრიდატესთან ომების დროინდელ ბერძენ ისტორიკოსებს (I საუკუნე).

ამ თეორიას არ გამორიცხავენ, უფრო მეტიც, დასაშვებად მიიჩნევენ, ქ-ნი ნ. ხაზარაძე, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა „მოსხთა“ ეთნოგენეზის საკითხს და თ. მიქელაძე (იხ. თ. მიქელაძე — „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. ძვ. წ. II-I ათასწლეულებში“. თბ. 1974 წ.). თუ



ტომს განიხილავდა არა როგორც რომელიღაც რეგიონალურ ეთნოსს (ვთქვათ ფშაველი, ხევსური, ჯავახი, კლარჯი და ა.შ.), არამედ როგორც ეთნიკურ სამყაროს („შესაძლებელია იგი საზოგადო სახელი იყოს“ — ივ. ჯავახიშვილი), რომელიც განსახლებული იყო სხვადასხვა დროს კაბადოკიიდან კავკასიის მთებამდე. ცნობილია, რომ დაღესტნელები ქართველ მთიელებს — თუშებს ახლაც „მოსოქებს“ ეძახიან; პ. ინგოროყვა თვლიდა, რომ ეს ქართველების (მესხების) თავდაპირველი თვის დამახასიათებელი სპეციფიკის მიხედვით: მესხი, მოსხი, მასხი, მოსოხი, მოსოქი, მეშეხი, მუშქი და ა. შ.) არქაულ ფორმად წარმოადგინა „ბასხი“; ხოლო მხარე დასახლებული ბასხებით — აბასხეთი, სადაც ა პრეფიქსი ქართულია (პ. ინგოროყვა აღნიშნავდა, რომ ა და ე ხმოვნები ქართული თავსართებია. ა უდრის „სა“-ს. მაგ. ა-ბანო იგივეაო, რაც სა-ბანო; ა-ჭანრა იგივეა, რაც სა-ჭანო; ე-გერისი (ეგრისი) იგივეა, რაც სა-მეგრელო.

მდინარე მძიმთასა და გუმისთას შორის ტერიტორია დასახლებული ყოფილა მესხური ტომით, რომლის არქაული ფუძესახელი, როგორც პ. ინგოროყვა მიუთითებს, ყოფილა „ბას“. ქართული სუფიქსების (ხი, არი, ელი) თანდართვით ამ ტომის თემობრივ-ტერიტორიული განსახლების გარჩევის მიზნით წარმოიშვა ეთნოტერმინი ბასხი, ბას-არი, ბას-ილი (საგულისხმოა, რომ ყველა ამ ქვეტომიდან წარმოებულია გვარსახელები: ბასხაძე, ბასარია, ბასილია).

ზემოთ დასახელებული ქართული ბოლოსართებიდან (ხი, არი, ელი), სატომო სახელწოდებების წარმოშობა დადასტურებულია (ხი ბოლოსართის მატარებელი სატომო ტერმინებია: დიაოხი, კარდუხი, კოლხი, მესხი, ჯავახი, კახი და სხვ.; „არი“-დან: ოდიშარი, სომხითარი, კოლარი, წანარი, ბასარი., აგრეთვე ტოპონიმები: ხიდარი, ცხუმარი, წუნარი, გაგარი, ბიყარი და სხვ. ელი-დან: სომხითელი, ოდიშელი, კახელი, იმერელი, მეგრელი და ა. შ.).

სატომო სახელიდან ბასხი, ზემოთ აღნიშნული ქართული თავსართის გამოყენებით, მიღებულია ა-ბასხეთი; ბასარიდან — ა-ბასარეთი (რედუქციის შედეგად აბსარეთი, აფსარეთი); ბასილიდან — ა-ბასილეთი (რედუქციის შედეგად აბსილეთი, აფშილეთი).

აბასხი, აბსარი და აბსილი არის ეთნიკური სახელის მეორადი ფორმა (როგორც კახი-კახელი, ქართი-ქართლელი და სხვ.), ხოლო მისი პირველადი ფორმა, როგორც აღინიშნა, იყო — ბასხი, ბასარი და ბასილი.

ამ სამი ეთნოსიდან ბოლო ორი — აბსარეთი და აბშილეთი, დიდი ხანია, დავიწყებულია, ხოლო მისი პირველი ფორმა აბასხეთი (იგივეა, რაც აფხაზეთი) შემორჩენილია ჩვენთვის ცნობილ რეგიონში.

ისტორიული აფხაზეთი, როგორც ცნობილია, მოიცავდა ტერიტორიას მდინარე მძიმთადან ქ. ცხუმამდე, ხოლო ცხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე გუმისთას ხეობაში მდებარეობდა აბსილია-აფშილეთი, რომელიც, პ. ინგოროყვას გამოკვლევით, დასახლებული იყო მონათესავე შერეული ტომებით — მესხებით და მეგრელებით, აფხაზეთი მხოლოდ მესხებით იყო დასახლებული. ხოლო ჩვენ- <u>გავითვალისწინებთ პომპონიუს</u> მელას (I საუკ.) ცნობას, რომ კავკასიის მთავარი ქედის ერთ-ერთ მონაკვეთს „მოსხების“ მთა ერქვა, მაშინ აღნიშნულ რეგიონში მოსხების მკვიდრობის შესაძლებლობა უფრო მყარია!

პავლე ინგოროყვა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთში „მოსხების“ განსახლების თეორიას მტკიცედ უჭერდა მხარს. მან აღნიშნული პრობლემა ასე წარმოადგინა: აფხაზეთში მცხოვრები „მოსხის“ (ამ ეთნოტერმინს გააჩნდა ბევრი სახესხვაობა, განპირობებული იმით, რომ ეს ტომი განსახლებული იყო ფართო გეოგრაფიულ სივრცეში და ყველა მეზობელი ხალხი მათ სახელს წარმოთქვამდა საკუთარი ენისთვის განსაკუთრებით საინტერესო აბასარეთი, ანუ აფსარეთი, პ. ინგოროყვას მიხედვით, მდებარეობდა... „შარავენდედთა ისტორია აზმანში“ მოხსენებული აფსარნი — ეს არ არის აფხაზების მხარეებში მოსახლე აფსილთა ტომი, არამედ აფსართა (აბსართა) სახელწოდებით ამ საისტორიო თხზულებაში იგულისხმება ჩრდილოეთ კავკასიის <u>მეზობელ ზონაში დამკვიდრებული</u> (**ხაზი ჩემია ბ. ჭ.**) აბასელთა, ანუ აბასართა ტომი (აბაზელები), რომლებიც საშუალო საუკუნეებში პოლიტიკურად უპირატესად ალანეთთან იყო დაკავშირებული“ (პ. ინგოროყვა. დასახ. წიგნი. გვ. 142).

პ. ინგოროყვას მიერ ამ რეგიონში მცხოვრები მესხების ზემოთ დასახელებულ კლასიფიკაციას თუ გავიხსენებთ, სრულიად აშკარაა, რომ მკვლევარი ერთ-ერთ ჯგუფს (აფსარებს) მესხური ტომიდან მოიაზრებს ჩრდილოეთ კავკასიაში, იმ რეგიონში, სადაც დღეს აბაზინები ცხოვრობენ. ქართულ (მესხურ) ტომად ასახელებს აფსარებს აგრეთვე ს. ყაუხჩიშვილი (იხ. ქართლის ცხოვრება. ტ. II თბილისი. 1957 წ. გვ. 581). ამავე გეოგრაფიულ ტერიტორიაზე (როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე მის გადმოღმა მხარეს) ამ ქართულ ტომებს მოიხსენიებს VII ს-ის სომეხი გეოგრაფი ანანია შირაკაცი (აშხარაცუნცი)—ბასლიკის, ბარსილის, ბასილის, აფშეგისა და აფხაზის სახელწოდებით.

აფხაზ ისტორიკოს შ. ინალიფას ერთ რამეში ნამდვილად შეიძლება დავეთანხმოთ: აფხაზეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართული მთავარი კავკასიონის ქედი არ წარმოადგენდა გადაულახავ ბარიერს და ქედზე არსებული გადასასვლელების (დარენი, კოლხორი, მარუხი) საშუალებით პერმანენტულად ხდებოდა როგორც ამიერკავკასიიდან (ამ შემთხვევაში აფხაზეთის რეგიონიდან) ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლა, ისევე პირიქით, ჩრდილოეთიდან სამხრეთში გადმოსვლა. ხოლო ამ მიგრაცია-ემიგრაციის ინტენსივობა დამოკიდებული იყო ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში არსებულ სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სახის არსებულ მოვლენებზე. ფაქტი ის არის, რომ ამ პროცესის შედეგად მივიღეთ ქართველთა (მესხთა, ანუ აბასხთა) ერთი ნაწილის ასიმილაცია, <u>როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში</u> (აბაზინები), შემდგომში <u>ასევე სამხრეთში</u> (აბსაარსქუები; მეგრულად აბსუები). შეიცვალა აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის ნაწილის სარწმუნოება და მშობლიური ენა, თუმცა ანთროპოლოგიურად მათ ამჟამადაც აკუთვნებენ კავკასიურ რასას (მ. გ. აბდუშელიშვილი; ვ. პ. ალექსეევი).

ბიძინა ჭყონია,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 94.

◎ ინფორმაცია

ვის მოხმარდება შემოსული თანხები?

ეკონომიკის სამინისტროში გამართულ აუქციონზე ლისის ტბა და მისი მიმდებარე ტერიტორია, „თიბი-სი“ ჯგუფმა 182 მლნ დოლარად იყიდა და ბიუჯეტში 26 მლნ-ის ნაცვლად 182 მლნ შევიდა.

აუქციონთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ვინაიდან კონკურენცია გამჭვირვალე იყო, ლისის ტბის ტენდერმა წარმატებით ჩაიარა.

„როცა ქვეყანას ენდობიან და დარწმუნებულნი არიან, რომ იქ ყველაფერი პატიოსნად და ყველასათვის ხელმისაწვდომ ვითარებაში მიმდინარეობს, მაშინ ქვეყანში შემოდის ფული და ეს ქვეყანა წარმატებულია“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, განხორციელებული ინვესტიცია სამშენებლო სექტორში გაჩენილ ბევრ სამუშაო ადგილს, ბევრად მეტ ტურისტსა და უკეთეს გარემოს ნიშნავს.

„პრივატიზაციის ფული თითოეული ჩვენი თანამოქალაქისათვის ზოგადი ცნება არ უნდა იყოს. ეს ფული ჩვენი ქვეყნის განვითარებაში უნდა ჩავდოთ“, — აცხადებს პრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, შემოსული თანხა მინიმუმ ორასი სოფლის გზების კეთილმოწყობასა და სოციალური დახმარებების ზრდას მოხმარდება.

„ჩვენ თბილისში დამსახურებისა და სტაჟის მიხედვით, გავზარდეთ პენსია, მაგრამ რეგიონებში ეს არ გავრცელებულა. ის ფაქტი, რომ საგადასახადო შემოსავლები იზრდება, ხალხმა უნდა იგრძნოს,“ — აღნიშნა პრეზიდენტმა.

ᲧᲘ-ᲔᲘᲒ-ᲔᲜᲘ

რას ედავებიან გიგანს?

სავაჭრო ცენტრების „მორკინალისა“ და „მასპინძლის“ მეპატრონე ჯონი გიგანი შემოსავლების სამსახურის საგამოძებო ნაწილში დაკითხეს.

გიგანის განცხადებით, გამოძიებას სავაჭრო ცენტრების ფინანსური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღება სურდა. სხვა დამატებითი ინფორმაციის გაცემისგან მან თავი შეიკავა.

ბიზნესმენის დაკითხვასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არც შემოსავლების სამსახურს გაუკეთებია.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკითხვა იანვარში სასტუმრო „საქართველოში“ განთავსებული კაზინოების დალუქვას უკავშირდება.

ფინანსურმა პოლიციამ სასტუმრო „საქართველოს“ საბულალტრო დოკუმენტაციის შემოწმება 15 იანვარს დაიწყო. გიგანი და მისი პარტნიორი ამ საქმესთან დაკავშირებით პოლიციამ იმ დღესვე დაკითხა, თუმცა არ დაუკავებიათ.

გიგანის ოჯახის წევრები მაშინ აცხადებდნენ, რომ კაზინოებიც და შპს „მასვალო“ ოჯარის გადამხდელები არიან და მათ სასტუმრო „საქართველოში“ ჯონი გიგანისა და მისი პარტნიორების კუთვნილი ფართი აქვთ ნაქირავები.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ

პრობლემა

● სატყეო სექტორში რეფორმების განხორციელების აუცილებლობა უდავოა, მაგრამ შემაშფოთებელი და კატეგორიულად მიუღებელია მთავრობის მიერ შერჩეული რეფორმის მიმართულება, სადაც ძირითადი აქცენტი სწრაფ ფისკალურ ეფექტზეა გადატანილი

◎ SOS!

ეკოლოგიური კატასტროფის ზღვართან

ბუნების დამცველებმა პრეზიდენტს ღია წერილი გაუგზავნეს

საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ქართველმა ბუნების დამცველებმა ღია წერილით მიმართეს. მას ხელს აწერენ ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ცოცხალი სამყაროს მეცნიერებათა შემსწავლელი ფაკულტეტის დეკანი **დავით თარხნიშვილი**; *ბანკებზე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის დამკვირვებელთა ქსელის რეგიონალური კოორდინატორი (CEE Bankwatch Network)* **მანანა ძოწლაძე**; *კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) კოორდინატორი* **ირაკლი ძოწულია**; *ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ხელმძღვანელი* **ირაკლი მაჭარაშვილი**, *საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი* **რუსუდან სიმონიძე**. *„ბოლო წლების განმავლობაში, ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ბუნებრივი ტყეების მდგომარეობა სავალალო გახდა. სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, აჭარის, კახეთის მხარეებში ტყე გადაშენების პირასაა მისული და მისმა დეგრადაციამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ყოველივე ამას საფუძვლად უდევს ტყეების არასწორი მართვა, გადაჭარბებული, ხშირ შემთხვევაში, უკანონო ექსპლუატაცია, არაპროფესიონალური კადრების სიჭარბე და კორუფციის მაღალი დონე. სატყეო სექტორის განვითარებისთვის ქვეყანაში გრანტებისა და კრედიტის სახით იხარჯება მილიონობით დოლარი, მაგრამ ამ ინვესტიციების დადებითი შედეგი არ ჩანს. თუ ეს ვითარება სასწრაფოდ და კარდინალურად არ შეიცვალა, ახალ თაობას უტყეო ქვეყანაში მოუწევს ცხოვრება. გარწმუნებთ, ეს არ გახლავთ გამუქებულ ფერებში დახატული მომავალი: ადამიანის დაუფიქრებელი მოქმედების გამო, ტყე არაერთ ქვეყანაში სრულიად ან თითქმის სრულიად განადგურდა. ამ მხრივ, საქართველოც არ წარმოადგენს გამონაკლისს - ისტორიულ წარსულში მთლიანად განადგურდა ტყეები ჯავახეთის ზეგანზე,“ — ნათქვამია პრეზიდენტისადმი მიწერილ წერილში.*

წერილის ავტორთა განცხადებით, ისინი მიესალმებიან საქართველოს მთავრობის განზრახვას, აღკვეთოს ტყის უკანონო ჭრა. უნდა აღინიშნოს, რომ ტყის უკანონო ჭრა მხოლოდ აისბერგის მწვერვალია, პრობლემა კი გაცილებით ღრმაა. ტყის ეკოსისტემების დეგრადაციის უმთავრესი გამომწვეგია რეალური ეკოლოგიური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობა ქვეყნის ეკონომიკურ, ფისკალურ, საერთაშორისო პოლიტიკაში, სამინისტროებისა და უწყებების ქმედებებში.

„რეფორმით გათვალისწინებული ტყით გრძელვადიანი სარგებლობის დამკვიდრება, ასევე ტყეზე საკუთრების ფორმის შეცვლა (იჯარა და პრივატიზაცია) თავისთავად მისაღებია და საერთაშორისო პრაქტიკას ეთანხმება, მაგრამ საქართველოს ტყის სექტორში არსებული ვითარების გათვალისწინებით, ამას შეიძლება უახლოეს ხანში ტყის შეუქცევადი დეგრადაცია მოჰყვეს.

საქმე ისაა, რომ საქართველოს ტყეებში, რომლებიც უმეტესწილად ფოთლოვანი მთის ტყეთაა წარმოდგენილი, სრულიად მიუღებელია მაღალი ინტენსივობის ჭრები; ხოლო მდგრადი მეტყეველობა გულისხმობს შერჩევითი ჭრების გამოყენებით კონკრეტულ ტყის კორომში ყოველი ასი ხიდან წელიწადში არაუმეტეს ერთის მოჭრას. როდესაც ხეების ერთ პროცენტზე მეტი მოჭრილია, ჭრა უნდა შეწყდეს ტყის სრულ აღდგენამდე. დღეს, საქართველოს ტყეების უმრავლესობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ უახლოეს წლებში იქ მერქნის მოპოვება, უბრალოდ, დაუშვებელია. ამდენად, ხეტყის ვაჭრობისაგან რეალური შემოსავალი უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში არ არის მოსალოდნელი; შესაბამისად, მოცემულ პერიოდში ამ გზით შემოსული დიდი შემოსავლების გათვალისწინება ქვეყნის ბიუჯეტში მცდარი პროგნოზია.

სახელმწიფოს არ გააჩნია ტყეების მდგრადი მართვის ნათლად განსაზღვრული პოლიტიკა და სტრატეგია, არ აქვს ტყის ფონდის ინვენტარიზაციის მასალები და ამ ფონზე ნაჩქარევად მიგვაჩნია ტყის უზარმაზარი მასივების გაყიდვა მერქნის მოპოვების მიზნით,“ — ამტკიცებენ ტყის დამცველები.

სამწუხაროდ, დღეს საბჭოთა პერიოდის შეცდომები მეორდება. არ არის ჩატარებული საქართველოს ტყეების ინვენტარიზაცია და ფუნქციური კატეგორიზაცია, არ არის დათვლილი მერქნული რესურსი, არ არის გაანგარიშებული სავარაუდო ეკოლოგიური დატვირთვა გარემოზე. მიუხედავად ამისა, წალენჯიხაში ჩინურმა კომპანიამ უკვე ააშენა ხეტყის გადამმუშავებელი გიგანტური კომბინატი, რომელმაც წელიწადში 50 ათასი კუბური მეტრი ხეტყე უნდა გადაამუშაოს. წალენჯიხის კომბინატს უახლოეს მომავალში სხვები მოჰყვება (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ახლახან, საზოგადოებისა და მეცნიერების აზრის საწინააღმდეგოდ, უკვე გასცა ხეტყის დამზადების სამი ოცწლიანი ლიცენზია, მათ შორის უნიკალურ, ხელუხლებელ მთის ტყის კორომებში და კიდევ აპირებს უახლოეს მომავალში მსგავსი აუქციონების გამოცხადებას).

აიტანს კი ჩვენი მთის ტყეები ასეთ დატვირთვას? რამდენად შეესაბამება ეს დატვირთვა მდგრადი განვითარების პრინციპებს? ვინ იქნება პასუხისმგებელი მოსალოდნელ ეკოლოგიურ კატასტროფაზე: ინვესტორი თუ ჩინოვნიკი, რომელმაც არ მისცა ამ ინვესტორს სრული ინფორმაცია გასაყიდ რესურსზე?

სატყეო სექტორში რეფორმების განხორციელების აუცილებლობა უდავოა, მაგრამ შემაშფოთებელი და კატეგორიულად მიუღებელია მთავრობის მიერ შერჩეული რეფორმის მიმართულება, სადაც ძირითადი აქცენტი სწრაფ ფისკალურ ეფექტზეა გადატანილი, ხოლო ტყეების ეკოლოგიური, დაცვითი და რეკრეაციული ფუნქციები მთლიანად უგულებელყოფილია. ეს საფუძველშივე ეწინააღმდეგება მდგრადი განვითარების საერთაშორისო ვალდებულებებსა და უპირველესად ბიომრავალფეროვნების კონვენციას და ევროპის სამეზობლო პოლიტიკას. ჩვენ გვაქვს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უარყოფითი გამოცდილება, სადაც ნაჩქარევმა და დაუგეგმავმა რეფორმამ ტყეების სერიოზული დეგრადაცია გამოიწვია.

„ვცდილობთ ვითანამშრომლოთ სახელმწიფოსთან, რათა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმის პროცესი. თუმცა, სამწუხაროდ, დიალოგი, პროფესიონალთა რჩევა, ეკოლოგიური მოთხოვნები დღეს სრულიად უგულებელყოფილია.

საქართველოს ტყის სექტორში არსებული ვითარება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ტყის სრულ ინვენტარიზაციას და იმ უბნების გამოყოფას, სადაც შეზღუდული ტყის ჭრა ჯერ კიდევ დასაშვებია. მხოლოდ ამის შემდეგ და ამის საფუძველზე საჭიროა თანამიმდევრულად გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები: შეიქმნას საქართველოს ეროვნული სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი; ჩამოყალიბდეს ეროვნული სატყეო სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა; შეიქმნას ახალი სატყეო კოდექსი და მოხდეს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია; გატარდეს ინსტიტუციური ცვლილებები,“ — დარწმუნებული არიან ისინი და პრეზიდენტს თხოვენ, უშუალოდ ჩაერიოს საქართველოს სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესებში, ხელი შეუწყოს მთავრობასა და პროფესიონალებს შორის დიალოგსა და ურთიერთთანამშრომლობას და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ხელისუფლებას ამოცანად დავუსახოთ საქართველოს ბუნების შენარჩუნება და მისგან ხანგრძლივი, მდგრადი სარგებლის მიღების მექანიზმების შემუშავება.

შესაძლოა, რომ უახლოესი წლების განმავლობაში, აქცენტი არა მერქნის დამზადებაზე, არამედ დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებაზე, ტურიზმის განვითარებაზე, სანადირო და პლანტაციური მეურნეობების შექმნაზე გაკეთდეს, ხოლო მერქნის წარმოებისგან მიღებული შემოსავალი, მხოლოდ შორეულ მომავალზე გაითვალოს. ტყეების აქტიურმა სამეურნეო გამოყენებამ დღეს, შესაძლოა მოიტანოს მოკლევადიანი ფისკალური ეფექტი, მაგრამ მომავალ წლებში გახშირებული ეკოლოგიური კატასტროფები მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყნის მოსახლეობასა და ეკონომიკას.

ოლლა ცისკარიშვილი

◎ საბანკო სექტორი

ფინანსისტების ფორუმი

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ კავკასიის საბანკო და საფინანსო სფეროში კავკასიის მეორე საერთაშორისო ბანკების და ფინანსების კონფერენცია და გამოფენა გაიხსნა.

კავკასიის საერთაშორისო კონფერენცია და გამოფენა „ბანკები და ფინანსები“ კავკასიაში მეორედ, ხოლო საქართველოში პირველად ტარდება. ღონისძიების ორგანიზატორები ბრიტანული საგამოფენო კომპანია ITE Group PLC და მისი პარტნიორი საქართველოში — კომპანია „იტეს კავკასია“. კავკასიის საერთაშორისო კონფერენცია და გამოფენა —„ბანკები და ფინანსები“ ტარდება საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სახელმწიფო მინისტრის რეფორმების კოორდინაციის საკითხებში, საქართველოს ბანკების ასოციაციის, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს, აზერბაიჯანის ინვესტიციებისა და ექსპორტის განვითარების ფონდის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის და USAID-ის ოფიციალური მხარდაჭერით.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ. შემდეგ ისაუბრეს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გიორგი არველაძემ, საქართველოს საგაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა ჯემალ ინაიშვილმა, ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ.

გამოფენა-კონფერენციაში თხუთმეტი ქვეყნიდან 70-მდე კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. კონფერენციაზე დელეგატები აზერბაიჯანიდან, აშშ-დან, გერმანიიდან დიდი ბრიტანეთიდან, ლატვიიდან, მოლდოვადან, საფრანგეთიდან, საქართველოდან, სომხეთიდან, რუსეთიდან და ყაზახეთიდან ჩამოვიდნენ.

კონფერენციაზე განიხილეს კავკასიის რეგიონის საფინანსო სექტორში რეგიონთაშორისი ურთიერთობების პერსპექტივები და განვითარების შესაძლებლობები, ბანკების როლი საქართველოს საფინანსო სექტორის დინამიურ განვითარებაში, საინვესტიციო და საფინანსო შესაძლებლობები კავკასიაში — აქციები, სესხები, კაპიტალის მობილიზაცია, გარანტიები, დაფინანსება, სადაზღვევო სისტემები კავკასიაში — ეკონომიკური განვითარება და დაზღვევის როლი რეგიონში.

„კონფერენციაში თხუთმეტამდე ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობს.

კონფერენციის ფარგლებში გამართულ გამოფენაზე წარმოადგინეს წამყვანი ბანკების მიერ შემოთავაზებული უახლესი პროექტები, საკრედიტო შესაძლებლობები, სადაზღვევო კომპანიების სრული სერვისი.

„კონფერენცია ჩაფიქრებულია, როგორც კავკასიური საბანკო ფორუმი, სადაც ტექნოლოგიებს და შეხედულებებს ერთმანეთს გაუზიარებენ. კონფერენციას საფუძველი ბაქოში ჩაეყარა, შემდეგ გაფართოვდა და რეგიონალური გახდა. ამჟამად, ჩვენი საბანკო სისტემა ერთ-ერთი მოწინავე და მისაბაძია რეგიონში“, — აღნიშნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ.

მაია ხორგუაშვილი, სოფიო გოგლიძე.

● 1973 წ. იანვრის №2, „სამშობლოში“ მოთავსებულია წერილი „ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან“, სადაც აღწერილია მონტე-კარლოში მომხდარი ამბავი: გიორგი შარვაშიძემ მოგებული დიდი თანხა (ნახევარი მილიონი ფრანკი) კარისკაცს აჩუქა

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №102

№ 95. შაბათი, 19 მაისი, 2007 წელი.

ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან

1946 წელს, ცნობილი მწერლისა და დრამატურგის, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ვაჟის, გიორგი შარვაშიძის დისშვილი, ქალბატონი ბაბო დადიანი მარტვილში ჩაბრძანდა. მოინახულა წინაპართა საფლავები, ნათესავები და თავადის ყოფილი მსახურიც...

ამ მოგონებებს უკვე გაყვითლებული ფურცლებიდან ვკითხულობთ. რვეულში გამხმარი მინდვრის ყვავილია ჩაკრული, წარწერით: „მოწყვეტილია მარტვილის ეზოში...“

აქვე, ვაქვეყნებთ ქ-ნ ბაბოს კიდევ ერთ საყურადღებო წერილს, რომელიც, როგორც ჩანს, გაზეთის რედაქციაში გაუგზავნია, მაგრამ „მიზეზთა გამო“ არ დაუბეჭდეს (სტილი ყველგან დაცულია).

„კნიაზის ნაწერები“...

მარტვილში ვინახულე ვანო გიორგის ძე კვეკველია, გიორგი შარვაშიძის მსახური (ლაქია), რომელიც ბაბუასთან 12 წელი იყო. ვანო ჩვენს ოჯახში მოვიდა მაშინ, როცა გიორგი შარვაშიძე 38 წლის გახლდათ და სიკვდილამდე აღარ მოშორებია...

გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა 1918 წელს, თებერვალში, სოხუმში. უეცრად, იდგა, ფანჯრიდან იცქირებოდა და იქვე წაიქცა. გამოიძახეს ექიმი გრიგოლია, მაგრამ ვერავინ უშველა, გარდაიცვალა. სოხუმის სახლი 16 ოთახისგან შედგებოდა. ვანო კვეკველია ახლა სახლობს ს. მარტვილში. ვიყავი მის სახლში. სუფთა, კოხტა სახლი, ეზო, ხეხილი. სახლში არ დამხვდა. გავიცანი მისი ქალიშვილი ვერა. ვანო ახლა არის 68 წლის, ძალზე გამოცვლილი. მახსოვს იგი, შესანიშნავად გამოწყობილი ჩოხა-ახალუხში... ახლა რაღაც საშინელი შესახედავი იყო, სალდათის ძველ „ბატინკებში“ და ძველ დაკერებულ შარვალში. ჟუჟუმ რომ მითხრა, ეს არის ვანიკოო, ვერ დავიჯერე. შევეკითხე: „ვანო ხარ?“ ისე გამეჭიმა, როგორც უწინ, მისი ლაქიობის პერიოდში, რომ ჰქონდა ჩვეულებად: „დიახ, ბატონო, გახლავართ!“... და უცებ ფეხები ფეხებს მიადო და ხელები ჩამოუშვა. ასეთ დისციპლინას და პოზას მე ვხედავ ამ დროში, მხოლოდ მაშინ, როცა ჯარისკაცი გენერალს ან უფროსს პატაკს აძლევს. ხელი გავუწოდე და ვუთხარი: „ვანო, მიცანი? ბაბუსია ვარ“. დიდის მოწიწებით, თავდახრილმა, ორივე ხელში მოწიწებით ჩაიდო ჩემი ხელი და ემთხვია... კიდევ გამეჭიმა და მითხრა: „ბატონო, კნიაჟნია ბაბუსია, როგორ ბრძანდებით?“...

წავედით, დავსხედით მარტვილის ბაღში. ვანოს მოვაყოლე თუ რამე ახსოვდა... — ძალიან ვუყვარდი და შეჩვეული ვიყავი მასთან. მე ვიცოდი და მახსოვდა ყველა მისი ჩვეულება, — მეუბნება ვანო, — ვიცოდი უცხოეთში რომ მიემგზავრებოდა, რამდენი და რა უნდა ჩამელაგებინა. თუ სადმე, ჩვენს ქვეყანაში, სტუმრად მიბრძანდებოდა რამდენიმე დღით, უთუოდ თან მიმქონდა რეზინის ტაშტი, თავის რეზინის ვედროთი. ყოველ დილით ადრე დგებოდა. ღებულობდა ცივ შხაპებს. როგორც კალმახი, ისე ხტოდა ბატონი, ცივ წყალს რომ ვასხამდით და უშველებელ ღრუბლით იზელდა ტანს. ვეტყოდი ხოლმე — „კნიაზ არ გაცივდეთ“!.. — „არა, ბიჭო, სწორედ რომ ჯანმრთელობაა ამაშიო“. ყოველ დილით ასე იბანდა ტანს. შემდეგ საუზმე და მერე თავის კაბინეტში წერდა და კითხულობდა... ხომ გახსოვთ, ბატონო კნიაჟნია, რამხელა ოთახი ჰქონდა და მთელი კედლები სავსე იყო წიგნებით...

— ვანო ჩემო, — ვკითხე — მითხარი, თუ რამე გაქვს მისი ნაწერი. ფულს მოგცემთ ყველაფერში, ოღონდ მოგვეცი.

— ვინ იცოდა, ბატონო კნიაჟნია, ვინ იცოდა, თორემ პატარა კი არ ჰქონდა ნაწერები... მთელი საწერი მაგიდა სავსე ჰქონდა ნაწერებით და კიდევ შკაფიც — ბევრი წაიღო ტატაშ მარშანიამ და ვალოდია შარვაშიძემ, სანამ კნიაზ კოკის დეპეშა მივეცით და ჩამოვიდა. მერე არ ვიცი, ბატონო, ვინ რა წაიღო. მე კნიაზის შემდეგ იქ აღარაფერი მინდოდა და წამოვედი სოფელში...

ვთხოვე ვანოს კიდევ მოეგონებინა რამე.

— ბარატინსკი რომ გარდაიცვალა, კნიაზი წაბრძანდა პეტროგრადში, სადაც მეც ვახლდი. ვცხოვრობდით სასტუმროში. ფული ყოველთვის მე მებარა. სასტუმროს გასტუმრებას და სხვა ხარჯებს, ყველაფერს მე ვისტუმრებდი. კნიაზი ანგარიშს არ მთხოვდა. წელიწადში ერთხელ თუ მომთხოვდა ანგარიშს...

რა დღე მინახავს, ბატონო კნიაჟნია, რა დღე და სად ჩავვარდი ახლა... — ვანო მიიხედ-მოიხედავდა და მუხლებზე დაირტყამდა ხელებს — ან რა ხალხი მინახავს ბატონთან...

ჩამომითვალა ვანომ: ბესარიონ ხოფერია — ფოთში, ჩხოტუა — ზუგდიდში, ქვარიანი — თბილისში... და სხვა...

— ამათ ექნებათ, თუ მიაკითხავთ, კნიაზის ნაწერები, რადგან განუწყვეტლივ ჩვენთან იყვნენ და ხმამაღალი ჰქონდათ ბაასი, მსჯელობა მწერლობაზე. როდესაც მე ხელზე ვემსახურებოდი, ხშირად კნიაზი ვინმესთან მწერლობაზე მსჯელობდა, მე ვერაფერი მესმოდა...

ვანომ ბევრი სხვა ამბავიც მიამბო: — ბანძაში ეჩქარებოდაო წამოსვლა კნეინა თამართან. ბანძაში შესანიშნავად ატარებდაო დროს... იქაურობა უყვარდაო ძალიან...

* * *

გიორგი შარვაშიძის ოჯახთან ბავშვობიდან ვარ დაკავშირებული. გ. შარვაშიძის უფროსი და — თამარი მამაჩემის, კ. დადიანის დედა იყო და მან გამზარდა. დაბადებისთანავე ჩემთვის აიყვანეს ძიძა და ძიძის ძუძუთი ვარ გაზრდილი. გაძიძავების შედეგად ინასკვებოდა ოჯახებს შორის დამოყვრება, სიყვარული და რაინდულად თავდადებული ერთგულება. ამაზე ბევრი რამ საგულისხმო დაწერილა. ვიდრე სკოლის ასაკს მივაღწევდი, ზამთარს სოხუმში ვატარებდი, გიორგი შარვაშიძის სახლში“ — სადაც უსაზღვრო ფუფუნებაში და ალერსში ვატარებდი ბავშვობას. გიორგი შარვაშიძე ზაფხულობითაც კი, ივლისის და აგვისტოს თვეებში, არ გვაჩერებდა მე და ბებიას სამეგრელოში და მუდამ ცდილობდა ჩემთვის ჰაერი გამოეცვალა. ამის დასტურია პატარა წერილი, მისი დის, თამარისადმი მიწერილი, რომელიც ინახება პირად არქივში. ყველაფერი ეს საკმარისი იყო, რომ ის ჩემთვის საყვარელი ბაბუა ყოფილიყო. ჩემი აღმზრდელი ბებია თამარი გარდაიცვალა 1926 წელს 30 დეკემბერს, როცა ის 95 წელს იყო გადაცილებული. ბებიაჩემი უკანასკნელ წლებში ჩემთან ცხოვრობდა კობის ქუჩაზე (ახლანდელი თარხნიშვილის ქუჩა) ამიტომ, რა თქმა უნდა, მთელი მისი პირადი არქივი, მათ შორის, გ. შარვაშიძის ხელნაწერები, პირადი წერილები, საბუთები და უამრავი სურათი ჩემთან დარჩა. **აკად. ს. ჯანაშიამ** ყველაფერი ეს იცოდა, მობრძანდა თვითონ, თავის, მეუღლით ქ-ნი მართათი, ჩემთან და მთხოვა მისთვის მიმეწოდებინა მასალები გიორგი შარვაშიძის შესახებ, რაც სიამოვნებით შევასრულე.

მინდა გავიხსენო კიდევ ერთი ფაქტი გ. შარვაშიძის პიროვნების და მაღალი ბუნებისათვის დამახასიათებელი, მომხდარი მონტე-კარლოში. 1973 წ. იანვრის №2, „სამშობლოში“ მოთავსებულია წერილი „ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან“, სადაც აღწერილია მონტე-კარლოში მომხდარი ამბავი: გიორგი შარვაშიძემ მოგებული დიდი თანხა (ნახევარი მილიონი ფრანკი) კარისკაცს აჩუქა.

ერთხელ, მონტე-კარლოში...

ჩვენს ოჯახში ყველამ ვიცოდით ეს ამბავი. „სამშობლოში“ მოთავსებული წერილის ავტორს, რომელიც მოგზაურობდა საფრანგეთში, ჰქონდა საშუალება, მონტე-კარლოს კაზინოს არქივარიუსის დახმარებით, დაემტკიცებინა ეს ფაქტი, რისთვისაც ამ წერილის ავტორს, ლადო ბახტრიონელს ვუხდი მადლობას, მაგრამ ნუ მიწყენს იგი, თუ ვუსაყვედურებ და შევნიშნავ, რომ გიორგი შარვაშიძე სადაც არ უნდა ყოფილიყო, ევროპის საუკეთესო საზოგადოებაშიც კი შეუძლებელია ღარიბ-ლატაკის შთაბეჭდილება დაეტოვებინა. ცნობილია, როდესაც მხატვარი მიხაი ზიჩი საქართველოში დგამდა „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალ სურათებს, მან კატეგორიულად განაცხადა „თუ უბრწყინვალესი მთავარი გიორგი შარვაშიძე მონაწილეობას არ მიიღებს, მე უარს ვაცხადებ მუშაობაზეო“... ისიც ცნობილი უნდა იყოს, რომ გ. შარვაშიძეს მატერიალურად შეზღუდული მდგომარეობა არ ჰქონდა და მისი ჩაცმულობა მუდამ შეეფერებოდა მისივე საზოგადოებრივ მდგომარეობას, თუ არაფერს ვიტყვით შესანიშნავ გარეგნობაზეც.

ბაბო დადიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირაძალი

● უნიკალურ ფაქტთან გვაქვს საქმე, როცა სათნო და მშვენიერი ქალბატონი არა მარტო საკუთარი მოქანდაკე მეუღლის, არამედ მეუღლის დედის და მამის, — სახელოვანი მხატვრების, მარგარიტა და შოთა მეტრეველების მუზაც გახლდათ...



საოჯახო ალბომი

„აქ შეწყვეტილი სიყვარულის გადასარჩენად“...

მუზა, ანუ ვინ და როგორ შეიძლება გადაიქცეს ხელოვანთა შთაგონების წყაროდ, ისევე რთულად ასახსნელია და არაერთმნიშვნელოვანი, როგორც თავად შემოქმედების საიდუმლო ბუნება.

ამ შემთხვევაში, თითქმის უნიკალურ ფაქტთან გვაქვს საქმე, როცა სათნო და მშვენიერი ქალბატონი არა მარტო საკუთარი მოქანდაკე მეუღლის, არამედ მეუღლის დედის და მამის, — სახელოვანი მხატვრების, მარგარიტა და შოთა მეტრეველების მუზაც გახლდათ...

მარგარიტა მეტრეველი — „პირმშო“

მეუღლის — მერაბ მეტრეველის ჩანაწერიდან:

მოკრძალებული ცხოვრებით ცხოვრობენ და მაინც, თავიანთი სულიერი და ფიზიკური მშვენიერებით, რჩეულთა შთაგონების წყაროდ ხდებიან... მათ უძღვნიან ლექსს თუ სიმღერას, ასახვას ჰპოვებენ სახვით ხელოვნებაში, ცხოვრებაში რაიმე ღირებულის შესაქმნელად მამოძრავებელ იმპულსად იქცევიან.

ჩემი აწგარდაცვლილი მეუღლე, მარინე სვანი, ჩვენს ოჯახში შემოსვლის დღიდან, დედაჩემის — მარგარიტა მეტრეველის შთაგონების წყაროდ გადაიქცა. დედამ არაერთი პორტრეტი მიუძღვნა მას და არაერთ თემატურ სურათში იქნა ასახული.

უთუოდ უხერხულია საკუთარ მეუღლეზე საუბარი, მაგრამ ამ ქვეყნიდან გასულ წლების გადასახედიდან დანახულზე ეგებ სულის ამოძახილივით ჩამითვალოთ, რომ იგი განსხეულებული სათნოება იყო, რასაც სიკვდილი თავის თითქოსდა გაუმჭვირვალე ფარდით ჩემთვის უფრო მეტად საცნაურს ხდის.

მეუღლის - მარინა სვანის ხსოვნას

ჩემი სიცოცხლეც
 შენთან ერთად დასრულდა, მარი,
თუმცა მე ჯერაც
 ფეხზე მავალს მტოვებს განგება,
სასუფევლისა
 ვიცი შენთვის ღიაა კარი,
ჩემი სული კი მაშინ,
 საით განიკარგება?!
გადაბანგული
 ამქვეყნიურ თაფლით თუ შხამით,
დედამიწაზე
 წამიერი ჩვენი სიზნობა,
სიზმარეული
 მოლოდინი მარადი ღამის
და სიკვდილის წინ
 საოცარი გამოფხიზლება.
იმედი მაინც
 გულში ირთის, ვით ნიბლია ჩიტი
და ალბათ
 ღმერთი დამიდგება ამის თავდებად,
რომ საუკუნო
 ის ქვეყანა არ არის მითი,
რომ იდუმალი
 სულთქმა ჩვენი აქ არ თავდება.
განიხვნებიან
 შენს წინაშე სამოთხის ბჭენი
ჩემს სულს კი ზეცის
 რომელ შრეზე ელის გარჩენა...
ო, შემდგარიყოს
 საოცნებო შეხვედრა ჩვენი
აქ შეწყვეტილი
 სიყვარულის გადასარჩენად.

ღიმილს ვეძებ...

დრო საოცარი სისწრაფით მიჰქრის. ყოველ საღამოს, ძილის წინ, როცა ღრუბლებიდან მთვარე ცივი თვალებით შემომხედავს, ჟრუანტელი დამივლის და დილიდან გამოყოლილი სევდა მაფორიაქებს.

თქვენ მკითხავთ: რა უსაზღვრო სევდა შეიძლება გქონდესო თვრამეტი წლის გოგონას, რომელიც რამდენიმე თვეა სტუდენტი გახდა და როგორც იტყვიან, ღიმილი მაისის ვარდივით უნდა ჰქონდეს ლაწვებზე გადაფენილი... მაისი ნამდვილად დადგა, ვარდებიც პირდაპირი თუ სიმბოლური მნიშვნელობის, მრავლად არიან და მეც ჩემი ოცნების ქალაქში ჩამოვედი, მაგრამ...

ჭიათურიდან, მშობლიური პატარა ქალაქიდან, დედაქალაქში ჩამოსული, პირველი ორი კვირის განმავლობაში, სულ ვიღიმოდი... ყველას ვუღიმოდი!..

მერე კი... საკუთარი თავის შემოცხვა, სახემოღუშული, სევდადაფენილი, ყოველდღიური საზრუნავით დაღლილ ადამიანთა ფონზე, ჩემი ღიმილი ისეთი არაბუნებრივი ჩანდა, რომ შემეშინდა და ვინმეს, რბილად რომ ვთქვათ, ჭკუამხიარული არ ვგონებოდი. სახიდან ღიმილი მოვიშორე, თავი დავხარე, არადა, ეს ღიმილი მე ხომ დედაქალაქს წამოვულე ჩემი პატარა, ლამაზი ქალაქიდან, სადაც ჯერ კიდევ შერჩენიათ წრფელი ღიმილი და უანგარო ურთიერთობანი!..

დედაქალაქი კი იმ ავი დედინაცვლალივით შემხვდა, რომელიც გერს არასოდეს გაუღიმებს. იქნებ მითხრათ: ნუთუ, ამ ქალაქში ხალხი არ იცინის? შეიძლება, მაგრამ ჩემთვის არავინ, არავინ, არასდროს... ნუთუ ცხოვრებისეულმა, ყოფითმა პრობლემებმა საბოლოოდ გადააჩვია საზოგადოება ღიმილს, ან იქნებ ქართველი ხალხი, ქართველი ერი გახდა გულცივი? რატომ ხდება, რომ ქუჩაში მხოლოდ მოღრუბლულ, სევდიან სახეებს ვაწყდებით? თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ იმ ალალი ღიმილის ავტორები, რომლებიც თქვენ ქუჩაში დაგინახავთ, უმეტესად ჩამოსული ტურისტები არიან. ნუთუ ქართველებს აღარ შეგვიძლია მათსავით ღიმილი? უცხოეთში თურმე მთელი ქვეყანა გულწრფელად გიღიმის, ჩვენ კი წამიერ, ყალბ, ნაძალადევ ღიმილს შევაგებებთ და ისევ მოღრუბლული სახით განვაგრძობთ გზას. სწორედ ამ ყალბმა ღიმილიანმა სახეებმა დაუდო დასაბამი ჩემს სევდას... არ მინდა, ჩემი ერი იმ ჭირისუფალს დაემსგავსოს, რომელიც გამუდმებით ქვითინებს და საკუთარ თავს გლოვობს.

მოცეკვავე და მომღერალი შადრევნების, მხიარული კარუსელების, მოასფალტებული გზების, ათასფერად აჭრელებული

ჭიათურა — თბილისი

სახლების ფონზე მე ალალ ღიმილს დავეძებ თბილისის ქუჩებში და არა ისეთს, ყოველდღიურად ტელეკომპანია „იმედის“ დილის გადაცემაში ოც ლარად რომ იყიდებოდა!

თბილისელებო! ისმინეთ, ჯერჯერობით სიცოცხლით სავსე, თქვენი მზერით გაოცებული, საქართველოს ნათელ მომავალში დარწმუნებული პროვინციელი გოგონას თხოვნა: გაიღიმეთ ალალი, გულმართალი ღიმილით, როცა ქუჩაში ახალგაზრდებს შეხვდებით, გაატანეთ მათ ეს ღიმილი ცხოვრების მეგზურად.

ჩვენ ყოველდღიურად გვარწმუნებენ, რომ თბილისი სინათლის ქალაქია, მაგრამ როგორც ჩანს, ამგვარ სინათლეს „ახლავს ბნელია“. სინათლე, როცა დახურული, ჩაკეტილი დარაბებიდან არ გამოდის, სიბნელეს ემსაგავსება. ღია ფანჯრებიდან მომზირალი, გაბრწყინებული სახეები კი სინათლესავითაა, ქუჩაში მოარული ბედნიერი ადამიანიც ხომ თავისებურად ანათებს... მე კი დავდივარ მოწყენილი სახეების გარემოცვაში და ხანდახან მგონია, რომ მე არ მიღებს ეს ქალაქი.

იქნებ გადავაქციოთ ღიმილის ქალაქად თბილისი! თორემ ულიმილობა, მოღუშულობა საქართველოს სხვა ქალაქებში და სოფლებშიც გადაინაცვლებს. მოურჩენელი სევდა არ უნდა მოერიოს სიკეთით და სიყვარულით საუკუნეებგამოვლილ ჩვენს სამშობლოს... რა არ გადაგვიტანია, აქამდე...

იქნებ ვცადოთ, ცოტათი მაინც ვცადოთ, გავიღიმოთ...

მე ხომ ბევრს არაფერს გთხოვთ, უბრალოდ, ერთი ლამაზი სიმღერის არ იყოს, „ღიმილი მინდა, სხვა არაფერი...“

თათია ჯაჯანიძე,
მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და პაატა ქორიძე

№ 95. შაბათი, 19 მაისი, 2007 წელი.

უცხოური პრესა

თბილისსა და ცხინვალს შორის ურთიერთობა კიდევ ერთხელ გაუარესდა მას შემდეგ, რაც 10 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოაწერა ხელი ბრძანებულებას ქურთაში მოქმედი დიმიტრი სანაკოევის ალტერნატიული მთავრობის ბაზაზე სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის შექმნის შესახებ

◎ **რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

კოკოითი სანაკოევის ადმინისტრაციის გაუქმებას მოითხოვს

მოსკოვი ვერ ახერხებს თბილისისა და ცხინვალის დათანხმებას ჯერ კიდევ ზამთარში შეწყვეტილი დიალოგის განახლებაზე. საქართველოში მყოფი რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარის იური პოპოვის მიერ გაღებულ ძალისხმევას ჯერჯერობით ვერ მოაქვს შედეგი: დაპირისპირებული მხარეები ძალზე განსხვავებულად აფასებენ მაისში კონფლიქტის ზონაში სიტუაციის გამწვავების მიზეზებს.

თბილისსა და ცხინვალს შორის ურთიერთობა კიდევ ერთხელ გაუარესდა მას შემდეგ, რაც 10 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოაწერა ხელი ბრძანებულებას ქურთაში მოქმედი დიმიტრი სანაკოევის ალტერნატიული მთავრობის ბაზაზე სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის შექმნის შესახებ. ამის პასუხად თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ გასული კვირის დამლევს გასცა განკარგულება რეგიონის ქართული სოფლების ირგვლივ საავტომობილო გზებზე მოძრაობის ბლოკირების შესახებ. ცხინვალში თავისუფლად ჩასვლა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ რუსული ან ადგილობრივი – სამხრეთ ოსეთის პასპორტები. როგორც კოკოითიმ თქვა, ბლოკადა არ მოიხსნება მანამ, სანამ ქართული მხარე არ გაუქმებს სამხრეთ ოსეთის ალტერნატიულ ხელმძღვანელობას დიმიტრი სანაკოევის მეთაურობით. „გზები გადაკეტილი იქნება მანამ, სანამ საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების მიერ დროებით ოკუპირებული დასახლებული პუნქტების ტერიტორიებიდან არ გაიყვანენ ყველა შეიარაღებულ ფორმირებას და იმ მარიონეტთა ჯგუფს, რომლებიც თავს „დროებითი ადმინისტრაციის ერთეულად“ ასაღებენ“, – განაცხადა კოკოითიმ. აღსანიშნავია, რომ თავის ოპონენტს– დიმიტრი სანაკოევს – ცხინვალის ლიდერი „ქურთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უწოდებს“.

პროქართულად განწყობილ სამხრეთ ოსეთის პარალელურ ხელისუფლებასთან კონტაქტების დამყარებას არც მოსკოვში ჩქარობენ. ყოველ შემთხვევაში, კონფლიქტის ზონაში იური პოპოვის მოგზაურობის პროგრამაში არ არის მონიშნული შეხვედრა დიმიტრი სანაკოევთან. როგორც პოპოვმა განაცხადა, იგი ჯერჯერობით არ არის მზად ასეთი კონტაქტებისთვის. „სანაკოევი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელია, და ამიტომ, მას არ აღვიქვამთ როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარეს“, – განუცხადა პოპოვმა ჟურნალისტებს თბილისში მოლაპარაკების რაუნდის დასრულების შემდეგ.

თავის მხრივ, კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს მერაბ ანთაძეს მიაჩნია, რომ პოპოვის ასეთი გადაწყვეტილება მცდარია. მოსკოვში უნდა შეიგნონ, რომ სანაკოევი არის არა მარტო ახალი სტრუქტურის ხელმძღვანელი, არამედ სამხრეთ ოსეთში სერიოზული პოლიტიკური ძალის ლიდერიც. აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა. „ის, რომ რუსეთის მხარემ უარი თქვა სანაკოევთან შეხვედრაზე, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ რუსეთი საკმაოდ უცნაურად უდგება ამ კონფლიქტს“, – მიაჩნია მერაბ ანთაძეს.

ამის პარალელურად მან რუსეთის მხარეს მოსთხოვა ცხინვალში შეიარაღებისა და ტყვია-წამლის მიწოდების შეწყვეტა. რორგორც ანთაძემ თქვა ქართული მხარისთვის მიუღებელია როგორც რუსეთის ამჟამინდელი პოზიცია კონფლიქტის ზონაში, ისე ცხინვალის ხელისუფლების მუქარაც, რომელიც აცხადებს, რომ მზად არის ძალის გამოყენებით დაამყაროს კონტროლი რეგიონის ქართულ სოფლებზე. თუ რუსეთის მხარე არ შეასრულებს იმ ფუნქციებს, რომლებიც მას ეკისრება როგორც კონფლიქტის მოწესრიგების შუამავალს, საქართველო ხელისუფლება საერთაშორისო დონეზე მთელი სიმწვავით დასვამს სამხრეთ ოსეთში რუსი სამშვიდობოების შემდგომი ყოფნის საკითხს, – აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

ალბათ, ცხინვალში იური პოპოვს რთული მოლაპარაკებები ელის. 17 მაისს თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტთან ედუარდ კოკოითთან და შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებთან ბორის ჩოჩიევთან (სამხრეთ ოსეთი) და მურატ თხოსტოვთან (ჩრდილოეთ ოსეთი) ექვსსაათიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა აღიარა, რომ ჯერჯერობით ღიად რჩება თვით კონფლიქტის ზონაში გზებისთვის ბლოკადის მოხსნის საკითხიც კი.

ანატოლი გორდიენკო

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

სომხეთის ხელისუფლება ჯავახეთის სომხობას ქართული ენის შესწავლისკენ მოუწოდებს

ჯავახეთის უპირველესი პრობლემაა ის ანტისომხური პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს პოლიტიკა ახორციელებს, განაცხადა სომხეთის ექს-პრეზიდენტის თანაშემწემ, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილმა მრჩეველმა, სტრატეგიული ცენტრის „არარატის“ ხელმძღვანელმა არმენ აივაზიანმა.

როგორც მან თქვა, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან სომხეთის პრეზიდენტის რობერტ ქოჩარიანის შეხვედრის დროს, როცა წამოიჭრა ჯავახეთში შექმნილ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხი, მან საქართველოს სომხობას ამ ენის შესწავლისკენ მოუწოდა. „ სინამდვილეში კი, ენის საკითხი მეათეხარისხოვანი საქმეა“, – აღნიშნა აივაზიანმა. მას მიაჩნია, რომ სომხეთის ხელისუფლება ანგარიშს არ უწევს, თვალს ხუჭავს საქართველოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე და ცდილობს პრობლემების მიჩუმათებას. „სომხეთის ხელისუფლებას არ სურს დაინახოს ეს პრობლემები და მათი სერიოზულობა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იძულებული გახდება ამაზე რაღაც რეაგირება მოახდინოს. ამიტომ, მისთვის უფრო ხელსაყრელია დაიკავოს „სირაქლემას პოზიცია“, – აღნიშნა აივაზიანმა.

და მაინც, ჯავახეთის პრობლემა კვლავ რჩება. „მალე იქ დაიწყება ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობა, ჯავახეთში შესაძლოა ჯარებიც შეიყვანონ. არსებობს კიდევ მთელი რიგი პრობლემები: დისკრიმინაცია განათლების სფეროში; სომხური ეკლესია დღემდე არ არის აღიარებული სამართლებრივ სუბიექტად, მაშინ როცა სომხეთში რეგისტრაცია მიიღეს თვით იეღოვას მოწმეებმაც კი.

სომხეთი ვალდებულია შეისწავლოს ეს პრობლემები და სცადოს მათი გადაჭრა სახელმწიფოს დონეზე, ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემებზე ილაპარაკოს“, – მიაჩნია აივაზიანს.

„სომხეთის მთავრობა ჯავახეთის მოსახლეობას არ უნდა მოუწოდებდეს ქართული ენის შესწავლისთვის. ეს იგივე იქნება, რომ არცახში მცხოვრებ სომხებს მოვთხოვოთ აზერბაიჯანულის სწავლა, ნაცვლად იმის, რომ თავიანთი პრობლემების მოგვარებაზე იფიქრონ“, – თქვა შემდეგ არმენ აივაზიანმა.

მისი აზრით, ასევე არ არის აუცილებელი, რომ საქმე ეხებოდეს ჯავახეთის ავტონომიას. მთავარია, რომ სომხებმა თავი უსაფრთოდ იგრძნონ თავიანთ მიწაზე. „ეს მათი მიწაა, სომხები თავიანთ, და არა ქართულ მიწა-წყალზე ცხოვრობენ“, – დარწმუნებულია ცენტრ „არარატის“ ხელმძღვანელი.

REGNUM

სომხეთი თავს საქართველოს პარტნიორად მიიჩნევს

სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის დონე ყოველთვის იმყოფებოდა იმ სიბრტყეში, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ როგორც სტრატეგიული პარტნიორობა, განაცხადა REGNUM საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრისას სომხეთის პრეზიდენტის თანაშემწემ ვიგენ სარქისიანმა, როცა განმარტა ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების სტრატეგიაში სომხეთი განეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებთანაც საჭიროა „პრაგმატული თანამშრომლობის“ განვითარება, მაშინ როცა სომხეთში შემუშავებულ ანალოგიურ დოკუმენტში საქართველოს მინიჭებული აქვს „სტრატეგიული პარტნიორის“ სტატუსი.

როგორც სარქისიანმა თქვა, არც საქართველოში და არც სომხეთში არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ „ჩვენ ვართ უახლოესი მეზობლები და ისტორიული პარტნიორები, და სიტყვებს აქ მხოლოდ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება“.

მანამდე სარქისიანი აცხადებდა, რომ სომხეთის ეროვნული უშიშროების სტრატეგია არის მოქნილი დოკუმენტი, რომელიც არ გამორიცხავს ახალ ფორმულირებათა გამოჩენას, რაც დამოკიდებული იქნება სიტუაციის შეცვლაზე და ახალი საფრთხეების წარმოქმნაზე. ამასთან დაკავშირებით, კითხვას, ხომ არ უქმნის სომხეთს საფრთხეს საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავებას აზერბაიჯანთან და თურქეთთან, აგრეთვე მისი მონაწილეობა იმ საკომუნიკაციო პროექტებში, რომლებიც სომხეთის იზოლირებას ახდენენ, სარქისიანმა უპასუხა: „ერთმნიშვნელოვნად არა“. როგორც მან აღნიშნა, ერთადერთი საფრთხე სომხეთისთვის შეიძლება გახდეს არსებულ კომუნიკაციათა მოშლა, ხოლო ახალი კომუნიკაციების შექმნა სომხეთის გვერდის ავლით, ყველა იმ სახელმწიფოს პირადი საქმეა, რომელსაც გაჰყავს ეს კომუნიკაციები.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანმა, საქართველომ და თურქეთმა შეიმუშავეს ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სატრანსპორტო დერეფნის პროექტი, რომელიც მოიცავს 98-კილომეტრიანი ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო შტოს გაყვანას, საიდანაც 68 კილომეტრი გაივლის თურქეთის ტერიტორიაზე, 30 კილომეტრი კი – საქართველოზე. რკინიგზა, საქართველოს ტერიტორიის გავლით ერთმანეთს დაუკავშირებს თურქეთს და აზერბაიჯანს, თუმცა, უკვე არსებობს სომხეთ-თურქეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალი, მაგრამ იგი არ მოქმედებს თურქეთის მხრიდან დაწესებული სანქციების გამო.

REGNUM

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტი

● ამ ფაქტით დათრგუნული ვარ. ნებისმიერი ნაბიჯი ეკლესიისა და ჯვრების წინააღმდეგ ჩვენთვის მიუღებელია

◎ ვანდალიზმი

ბარბაროსობა ხელვაჩაურში

მორწმუნეთა წინააღმდეგობის მიუხედავად, გუშინ, გამთენიისას, ხელვაჩაურის რაიონში, ფერიის მთაზე მშენებარე სამონასტრო კომპლექსის დემონტაჟი განხორციელდა. როგორც ხელვაჩაურის რაიონის გამგეობაში აცახდებენ, ფერიის მთა სტრატეგიული ტერიტორიაა, რომელიც რუსეთის ბაზების გასვლის შემდეგ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაეცა.

ფერიის მთაზე ათონელ მამათა სახელზე სამონასტრო კომპლექსის აგება 4 თვის წინათ დაიწყო.

გუშინ მრევლმა საპორტესტო აქციაც გამართა. როგორც აქციაზე სამღვდელოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, აღნიშნულ ადგილზე მითოლოგიური შინაარსის სკულპტურის დადგმა იგეგმება. მათივე თქმით, სამონასტრო კომპლექსის მშენებლობისთვის შესაბამისი ნებართვა არ ჰქონდათ.

* * *

საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიცია“ აჭარაში მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ გამოვლენილ აგრესიულ ქმედებებზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს.

ამის შესახებ „მემარჯვენეებმა“ სპეციალური განცხადება გაავრცელეს.

— ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით ხელვაჩაურის რაიონში, ფერიის მთაზე ათონელი ბერების სახელობის მშენებარე სამონასტრო კომპლექსის კანონიერი მშენებლობის დემონტაჟი, ასევე ქობულეთის შესასვლელთან ჯვრის აღება გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას თვითონ აქვს აგრესიული დამოკიდებულება ქართული სამოციქულო ეკლესიის მიმართ ან ისინი ვილაცის დავალებით მოქმედებენ“, — ნათქვამია განცხადებაში. „მემარჯვენეეები“ აღნიშნავენ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დუმილი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ნიშნავს, რომ ისინი ამ ვანდალური ფაქტის თანამონაწილეები ხდებიან და პასუხისმგებლობა მათაც ეკისრებათ. თუმცა „მემარჯვენეები“ აქცენტს საქართველოს პრეზიდენტის პასუხისმგებლობაზე აკეთებენ.

— პასუხისმგებლობა მომხდარი ფაქტის გამო, რა თქმა უნადა, დაეკისრება საქართველოს პრეზიდენტს, რადგან სწორედ იგი გახლავთ ქვეყნის სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დადებული ხელშეკრულების — კონკორდატის ხელშეუხებლობის კონსტიტუციური გარანტი, — ნათქვამია „მემარჯვენეების“ მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

* * *

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის“ ლიდერი ხელისუფლებას ახალ ბრალდებას უყენებს და აცხადებს, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ ღია ბრძოლა დაიწყო.

როგორც ჯონდი ბალათურიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ხელისუფლება საქართველოს სამოციქულო ეკლესიას იმავე ხერხებით ებრძვის, როგორც ამას დამპყრობელი მუსულმანები აკეთებდნენ.

— საქართველოს ხელისუფლებამ განაახლა ეკლესიაზე შეტევა. თუ ადრე ცილისმწამებლური მეთოდებით ცდილობდნენ მღვდლებისა და ეპისკოპოსებისთვის სახელის გატეხას, ახლა პირდაპირი იერიში მიაქვთ. ჯალალედინივით და მურვან ყრუსავით ხმლით, ბულდოზერებით ებრძვიან ეკლესიას,— განაცხადა ბალათურიამ და დასძინა, რომ „ქართული დასი“ ასეთი ქმედების ჩასახშობად უახლოეს ხანებში ფართო კამპანიას წამოიწყებს.

მისივე თქმით, რამდენჯერმე ისეთი ვანდალური ფაქტი, როგორიც სიწმინდეების დემონტაჟია, არ გახმაურდა, თუმცა ბალათურია აცხადებს, რომ დღეიდან მისი პარტია მსგავს ფაქტებს აღარ დაუშვებს.

— ჯერ ხაშურში ჯვარი აიღეს. ამას მოჰყვა ჯვრის დემონტაჟი ქობულეთის შესასვლელში, გუშინ კი ეს ვანდალიზმი ქობულეთში ეკლესიის ბულდოზერით დანგრევით დასრულდა. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და ამის მოთმენა დაუშვებელია, — აღნიშნა ბალათურიამ.

* * *

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავჯდომარემ ელენე თევდორაძემ ხელვაჩაურის რაიონში ეკლესიის დანგრევასა და ქობულეთში ჯვრის აღებასთან დაკავშირებით განაცხადა:.

— ამ ფაქტით დათრგუნული ვარ. ნებისმიერი ნაბიჯი ეკლესიისა და ჯვრების წინააღმდეგ ჩვენთვის მიუღებელია.

დეპუტატის თქმით, მომხდარზე პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების მიმღებს უნდა დაეკისროს.

საპარლამენტო უმრავლესობის სხვა წევრებიც აღნიშნავენ, რომ ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ვანდალური ფაქტი მიუღებელია. თუმცა, ვერავინ აკონკრეტებს, ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება.

როგორც ელენე თევდორაძემ, გიგი წერეთელმა და ალეკო შალამბერიძემ აღნიშნეს, საქართველოს ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის შეთანხმებაა გაფორმებული და ნებისმიერი გადაწყვეტილება ამ შეთანხმების საფუძველზე უნდა იყოს მიღებული.

ოპოზიცია კი პასუხისმგებლობას მთლიანად ხელისუფლებას აკისრებს.

ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ხელვაჩაურის რაიონში, ფერიის მთაზე, სადაც მშენებარე ეკლესიის დემონტაჟი განხორციელდა, პატრიოტული ბანაკის მშენებლობა იგეგმება.

* * *

„საქართველოს კონსერვატიული პარტია“ მოსახლეობას მოუწოდებს, მონაწილეობა მიიღონ ხელვაჩაურის რაიონში დანგრეული ეკლესიის აღდგენაში.

როგორც პარტიის წევრმა დეპუტატებმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, ისინი დღეს ხელაჩაურის რაიონში ჩასვლასა და მოსახლეობასთან შეხვედრას გეგმავენ, რათა ვითარებაში ადგილზე გაერკვენენ.

„კონსერვატორებმა“ ეკლესიის დანგრევის ფაქტი ვანდალიზმად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ პარლამენტში დააყენებენ საკითხს, რათა ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებებზე გამოძიება დაიწყოს.

— ეს რომ მომხდარიყო რომელიმე რელიგიური უმცირესობის მიმართ, მაშინვე სასტიკი გნიასი ატყდებოდა. ჩვენ გვინდა, საქართველოში მართლმადიდებლები ისევე იყვენენ დაცული, როგორც — სხვა რომელიმე რელიგიური უმცირესობა, — აცხადებენ „კონსერვატორები“.

* * *

„საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ წევრები მიხეილ სააკაშვილს მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ადანაშაულებენ.

„ლეიბორისტების“ პოლიტიკური საბჭოს მიერ გავრცელებული ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ „სააკაშვილის ხელისფლებამ თავისი მოღვაწეობა მართლმადიდებლობასთან ბრძოლით — სექტების მხარდაჭერით, გლდანის ეკლესიის დარბევით დაიწყო“.

— ყველაფერი კი სააკაშვილის ხელისუფლებამ გააგრძელა ხელვაჩაურში მშენებარე ტაძრის ნგრევით, აგრეთვე აღებული იქნა ჯვარი ჩოლოქის ხიდთან, რის გამოც ვაცხადებთ პროტესტს,— ნათქვამია „ლეიბორისტების“ განცხადებაში.

„ლეიბორისტები“ მომხდარის გამო პასუხისმგებლობას საქართველოს პრეზიდენტს აკისრებენ და მისგან ბოდიშის მოხდასა და დამნაშავეთა დასჯას კატეგორიულად მოითხოვენ.

* * *

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრი კახა კუკავა ხელვაჩაურის რაიონსა და ქუბულეთში განვითარებულ პროცესებს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ეკლესიის წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიად აფასებს.

როგორც კახა კუკავამ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს ისტორიაში არ არსებობს ფაქტი, რომ უშუალოდ საქართველოს ხელისუფლებას თავად დაენგრია ეკლესია-მონასტრები.

მისი თქმით, ბოკერია-სააკაშვილის რეჟიმი აღმოჩნდა პირველი, რომელმაც მსგავსი რამ განახორციელა.

— ეს არ არის მათი სირცხვილი, რადგან ისინი ქრისტიანები არ არიან. ეს არის ნებისმიერი ქრისტიანის, ჩემი და ჩემი მეგობრების სირცხვილი, — აღნიშნა დეპუტატმა.

— ესენი პირველი ღამის უფლებასაც მოგვთხოვენ, საჭიროა, მშვიდობიანი ხერხით ისინი გავუშვათ, — დასძინა კახა კუკავამ.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

ბრალდების მხარე ირაკლი ბათიაშვილისთვის 10-წლიანი პატიმრობის შეფარდებას ითხოვს. მუხლი, რომლითაც ბათიაშვილს ბრალი ედება, 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს

№ 95. შაბათი. 19 მაისი. 2007 წელი.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2007 წლის 7 ივნისს 14 საათზე, ზესტაფონში, წერეთლის №11-ში (ზესტაფონის ყოფილი ზონალური საგადასახადო ინსპექციის შენობაში) სს „მარსის" ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

1. ძველი ადმინისტრაციული შენობა ორსართულიანი, აგებული თეთრი დეკორატიული გათლილი ქვით, გადახურვა ხის ნივნივებზე, შავი ლითონის ფურცლოვანი სახურავით, კარფანჯრა ხის, შემინული სართულებშორისი გადახურვა ხის კოჭებზე, ხის იატაკი, არის ელგაყვანილობა, წყალკანალიზაციის ქსელი, შენობის საერთო ფართია 600 კვმ. სასარგებლო ფართია 500 კვმ. შეფასებულია 20000 ლარად;

2. ადმინისტრაციულ-საწარმოო კორპუსის ნაწილი, ოთხსართულიანი შენობა, აგებული მსხვილი საკედლე ფილებით და წვრილი საკედლე ბლოკით, შენობა დახურულია წიბოვანი ანაკრები რკინა-ბეტონის გადახურვის ფილებით, გადახურვა ბრტყელი ჭიქისებრი წერტილოვან საძირკველზე მოწყობილი რკინა-ბეტონის ანაკრებით და კოლონების თავზე გადებულია რკინა-ბეტონის კოჭები, იატაკი ბეტონის, ზოგან მოზაიკის დეკორატიული ფილებით, ფანჯრები ლითონის, კარებები ხის, ნაწილი რკინის, კორპუსის ოთხივე სართული შელესილია. წარმოდგენილი შენობის ნაწილის საერთო ფართია 4800 კვმ, სასარგებლო ფართი 3456 კვმ, ხოლო დამხმარე 944 კვმ, ყადაღადადებული შენობის ნაწილი წარმოადგენს მთლიანი კორპუსების ნაწილს აღმოსავლეთის მხრიდან დასავლეთის მიმართულებით 40 მეტრ სიგრძეზე. შეფასებულია 73000 ლარად;

3. წყლის საქაჩი სადგურის შენობა აგებული რკინა-ბეტონის საკედლე ფილებით, გადახურულია წიბოვანი ანაკრები რკინა-ბეტონის გადახურვის ფილებით, შენობა ექსპლუატაციისთვის უვარგისია, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამშენებლო მასალა, რომელიც შეფასებულია 7000 ლარად;

4. შავი ლითონის ჯართი 229,8 ტონა — 49416,03 ლარი;

5. ფერადი ლითონის ჯართი 555 კგ. — 1387,5 ლარი;

6. ვარგისი მოწყობილობა: ვენტილატორი ელძრავით 37 კვტ. 2 ცალი — 700 ლარი;

7. ელ. ძრავი 4 P10 75 კვტ. 3 ცალი — 1980 ლარი;

8. ელ. ძრავი 30 კვტ. 6 ცალი — 1440 ლარი;

9. გოგორწყვილი — 1 — 500 ლარი.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 155423,53 (ასორმოცდათხუთმეტი ათას ოთხასოცდასამი ლარი და ორმოცდაცამეტი თეთრი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. №1.

ტელ: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.

სს „ფოთიტორფის" აქციონერთა საყურადღებოდ!

2007 წლის 12 ივნისს 13 საათზე გაიმართება სს „ფოთიტორფის" აქციონერთა საერთო კრება. მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №45, სასტუმრო „ვარაზი". საკონფერენციო დარბაზი, II სართული.

დღის წესრიგი:

1. სს „ფოთიტორფის" 2006 წლის წლიური ანგარიშის მოსმენა და დამტკიცება.

სს „ფოთიტორფის" დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო

ინფორმაცია

მიუსჯიან ბათიაშვილს ათწლიან პატიმრობას?

პოლიტიკური მოძრაობა „წინ საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ბათიაშვილის გუშინდელ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ საკამათო სიტყვა წარმოადგინა და პროკურორმა ირაკლი კობიძემ სასჯელის ზომა დაასახელა.

ბრალდების მხარე ირაკლი ბათიაშვილისთვის 10-წლიანი პატიმრობის შეფარდებას ითხოვს. მუხლი, რომლითაც ბათიაშვილს ბრალი ედება, 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

სასამართლო სხდომაზე ადვოკატებმა საკამათო სიტყვის მომზადების მიზნით მოსამართლეს სთხოვეს, პროცესი 22 მაისის ნაცვლად, 29 მაისისთვის დაენიშნა, თუმცა მოსამართლემ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა.

ამასთან, ადვოკატების შუამდგომლობის საფუძველზე ირაკლი ბათიაშვილის მეუღლეს მაია ბათიაშვილს სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება მისცეს. როგორც ცნობილია, იგი მოსამართლემ მაია თეთრაულმა რეპლიკების გამო წინა სასამართლო სხდომიდან გააძევა.

ბაღაფში ჩერქეზეთს ეწვია

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში ყარაჩაი-ჩერქეზეთში გაემგზავრა. ყარაჩაი-ჩერქეზეთში რუსეთის სამხრეთ ფედერალური ოლქის სუბიექტთა ეკონომიკური ურთიერთმოქმედების ასოციაციის „სევერნი კავკაზ" შეკრება გაიმართება, რომელშიც აფხაზთა ლიდერი მონაწილეობის მიღებას გეგმავს.

აფხაზეთი ამ გაერთიანებაში ასოცირებული წევრის სტატუსითაა შესული.

ბაღაფშის ხელმძღვანელობით შემდგარ დელეგაციაში შედიან სეპარატისტთა ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბა, ვიცე-სპიკერი და ასოციაციის წარმომადგენელი აფხაზეთში ვ. ცუგბა.

ეს სერიოზული საერთაშორისო დარღვევაა

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საერთაშორისო ზარების საქართველოს გვერდის ავლით განხორციელება სერიოზული საერთაშორისო დარღვევა იქნება.

ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა მთავრობის გუშინდელი სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

მისი თქმით, ქართულმა მხარემ არა ერთხელ დააყენა საკითხი კონფლიქტის რეგიონებში უცხოური მობილური ოპერატორი კომპანიების უკანონო საქმიანობის შესახებ.

— ამ კომპანიებს საერთაშორისო ბაზარზე მნიშვნელოვანი პრობლემებიც შეექმნათ, — განაცხადა ბეჟუაშვილმა.

მინისტრის თქმით, საქართველოს მხარეს შესაბამისი რეაქცია ექნება აურიკაუ-ცხინვალის მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებითაც, იმ შემთხვევაში თუ ეს გაზსადენი საქართველოს საზღვრებს გადმოკვეთს.

შეგახსენებთ, რომ ორიოდე დღის წინ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 9-ივნის მეშვეობით საერთაშორისო ზარებს რუსეთში საქართველოს გვერდის ავლით განახორციელებენ.

როგორც ცხინვალში აცხადებენ, ამ შემთხვევაში საქართველოს კოდის მაგიერ ჩრდილოეთ ოსეთის კოდს გამოიყენებენ.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

კითხვა: თუ შეიძლება, განმიმარტეთ, როგორი წესით ხდება მიმდინარე წლიდან დასაქმებულის შრომითი საქმიანობის აღრიცხვა; რა ვუყოთ ჩვენს დაწესებულებებში გახსნილ შრომის წიგნაკებს, გავხსნათ თუ არა ახალი და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას რა საბუთები მოვთხოვოთ დასაქმების კანდიდატს?

ლევან თოფაძე

პასუხი: ახალი შრომის კოდექსის შესაბამისად (რომელიც საქართველოს პარლამენტმა გასული წლის 25 მაისს მიიღო და ძალაში შევიდა 2006 წლის 4 ივლისამდე), დასაქმებულთა შრომითი საქმიანობის აღრიცხვა ხდება შრომის ხელშეკრულების საფუძველზე.

თუ საწარმოში გახსნილია შრომის წიგნაკი, რომლის მიხედვითაც 2006 წლის 4 ივლისამდე წარმოებდა თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის აღრიცხვა, კადრების სამსახური ამ მეტად მნიშვნელოვან საბუთს შეინახავს დასაქმებულის პირად საქმეში და სამუშაოდან გათავისუფლების შემთხვევაში, მისცემს ხელზე. გაუხსნელ შრომის წიგნაკებს, ბუნებრივია, აღარ შეავსებთ.

თქვენს ბოლო კითხვასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შრომითი ხელშეკრულების დადებამდე დამსაქმებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს პიროვნებას ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

* * *



კითხვა: ვარ II ჯგუფის ინვალიდი. საერთო დაავადებით, მაწუხებს გული, არა მაქვს ცალი თირკმელი. გთხოვთ, მაცნობოთ, რომ ვიმუშაო სახელმწიფო დაწესებულებაში მცირე ხელფასზე, მომეცემა თუ არა პენსიაც?

ნელი კილასონია

პასუხი: სამწუხაროდ, არ მოგეცემათ; სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობის შემთხვევაში პენსია მხოლოდ მხედველობაზე II ჯგუფის ინვალიდებს ეძლევათ.

* * *

კითხვა: უცხოურ კომპანია „ტიანშის" კორპორაციაში მომუშავე დისტრიბუტორს აქვს თუ არა უფლება, პენსიასთან ერთად სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდობის პენსია და ხელფასი სრულად მიიღოს და საერთოდ, რა შეღავათები ეკუთვნის?

თქვენი ერთგული მკითხველი

პასუხი: 2006 წლის 1 იანვრიდან მოქმედი კანონის თანახმად კერძო სტრუქტურებში მომუშავე ყველა კატეგორიის პენსიონერს აქვს მუშაობის პერიოდში პენსიის მიღების უფლება.

რაც შეეხება ომის ინვალიდებს, ყოველგვარი სახის შეღავათის სანაცვლოდ 2007 წლის 1 იანვრიდან ეძლევათ 42 ლარი.

* * *

კითხვა: ვარ I ჯგუფის ინვალიდი. ჩემდა გასაწამებლად, ახალი წესი მოიგონეს და 2005 წლის დეკემბრიდან პენსიას შემნახველ ბანკში მირიცხავენ. ძალიან მიჭირს ბანკში სიარული, როგორ მოვიქცე, რომ პენსია ისევ ბინაზე მომიტანონ?

ვასილ მიქიაშვილი

პასუხი: გირჩევთ, აღნიშნულ საკითხზე დაუყოვნებლივ მიმართოთ განცხადებით პენსიის გამცემ ორგანოს, რომელიც გაითვალისწინებს შეკითხვაში აღნიშნულ პირობებს და უზრუნველყოფს პენსიის ბინაზე მოტანას.

* * *

კითხვა: მეუღლესთან უსიამოვნების შემდეგ, იძულებული გავხდი დამენგრია ოჯახი. მყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, რომლებიც ქვეყანას მირჩევნია. არ მინდა სასამართლოში სირბილი ალიმენტის გადახდის თაობაზე, ისედაც მათთვის მინდა, თუკი რამ გამაჩნია. გთხოვთ, განმიმარტოთ, მაქვს თუ არა ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის უფლება?

ოთარ კობეშავიძე

პასუხი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1232-ე მუხლის შესაბამისად, ის პირი, რომელიც ვალდებულია ალიმენტი იხადოს ნებაყოფლობითი წესით, იხდის მას პირადად, შემოსავლის მიღების ადგილის მიხედვით, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ალიმენტის ნებაყოფლობითი გადახდის წესი არ გამორიცხავს ალიმენტის მიმღების უფლებას, ნებისმიერ დროს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.

მართალია, წლეულს 13-16 სექტემბერს რიო-დე-ჟანეიროში მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო ხუთეულში მოხვედრაც საკმარისი იქნება პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურის მოსაპოვებლად, მაგრამ დაზღვევის მიზნით სალიცენზიო ქულებიც არ გვაწყენდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ ორბიტაზე



დალაშქრეს ყველაზე დიდი კუნძული

რუსეთელმა მოგზაურმა თევდორე კონიუხოვმა თავის თანამებრძოლ ჰანს არენსენთან ერთად ძაღლებშებმული მარხილით აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ „დაიპყრო“ მსოფლიოს უდიდესი კუნძული გრენლანდია. მათ თანაც ახალი რეკორდი დაამყარეს — ისინი გზაში 15 დღე-ღამე და 22 საათი იყვნენ. ადრინდელი რეკორდის დამყარებას 19 დღე-ღამე დასჭირდა.

პრეზიდენტი ფრთხილობს

დღეს გერმანიაში გაიმართება ბუნდესლიგის წლევანდელი სეზონის ბოლო ტურის მატჩები. როგორც ამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა თეო ცვანციგერმა განაცხადა, ის მხოლოდ ტელევიზორით ნახავს ჩემპიონობის პრეტენდენტების — „შტუტგარტისა“ და „შალკეს“ მატჩებს, რათა რამე არ წამოსცდეს რომელიმე პრეტენდენტის სასარგებლოდ.

ამხედრებული სარა

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ 22 წლისაა, ცნობილმა ჩრდილოამერიკელმა მოდელმა სარა ჯინმა უკვე მოასწრო პოპულარული „ფლეიბოის“ კრიალა გარეკანზე ყოფნა და თავისი უმშვენიერესი ფიგურით უამრავი მამაკაცის გადარევა. ამ დღეებში სარამ აღიარა, რომ მშვენიერი ფორმის შენარჩუნებაში მას სპორტში რეგულარული ვარჯიში ეხმარება.

მისი თქმით, ის რეგულარულად დარბის და სავარჯიშო დარბაზშიც დადის. მაგრამ ყველაზე მეტად სარას ცხენოსნობა მოსწონს, ამიტომაც ლამაზმანი ფოტოსესიებს ხშირად ოთხფეხა მეგობრების კამპანიაში მართავს.

თანაც ჯინი თავგადაკლული გულშემატკივარია. მისი გემოვნება ბევრად არ განსხვავდება ჩრდილო ამერიკის საშუალო სტატისტიკური მცხოვრების გემოვნებისგან — მისი ყველაზე საყვარელი სპორტის სახეობაა ამერიკული ფეხბურთი. ამიტომ მუდამ ცდილობს სტადიონზე მოხვედრას, თუმცა მოდელად მუშაობა ძალზე ბევრ დროს ართმევს!

◎ კალათბურთი

მეხუთე და სამართალი

მართლაც რომ ბარაქიანი სპორტული მაისია რუსთავში — გუშინ სუპერლიგის გამარჯვებული „აზოტის“ კალათბურთელთა გუნდი (მთავარი მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი**) გახდა, ხვალ კი გვირგვინს, ალბათ, „ოლიმპის“ ფეხბურთელები დაიდგამენ.

აღსანიშნავია, რომ ქვემოქართლელებს წინა ოთხი ფინალი წაგებული ჰქონდათ, თუმცა ამჯერად იმდენად სჯობდნენ მეტოქეებს, რომ სხვანაირი შედეგი წარმოუდგენელი იყო. საილუსტრაციოთ ვიტყვით, რომ ეროვნული ნაკრების საბაზო კლუბმა სეზონში მხოლოდ ორი მატჩი წააგო — სათასო ფინალი და ჩემპიონატის ერთადერთი შეხვედრა „ავიამშენთან“, რომელსაც დასკვნითი პლეი-ოფის სამივე თამაში მოუგო, მათ შორის გუშინ — 85:63. დაგვეთანხმებით, მრავლისმთქმელი უპირატესობაა.

ვულოცავთ კომპანია „ენერჯი ინვესტის“ სპონსორობით მიღწეულ ნანატრ წარმატებას ინდუსტრიული ქალაქის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით — მთელი რიგი ტალანტების აღმზრდელ ოთარ ხმელიძეს და წინა თაობის კალათბურთელებს.

ბრინჯაოს მედლები თსუმ მოიპოვა, რომელმაც დამატებით დუელში თბილისის „დინამო“ დაჯაბნა — 93:74 (სერიის ანგარიშია 2:1).

27 მაისს ვერის ბაღში ქვეყნის სუპერთასს ჩემპიონი „აზოტი“ და თასის მფლობელი „ავიამშენი“ გაითამაშებენ.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.

◎ ძიუდო

შეთხელებული შემადგენლობით

დღეს და ხვალ ბუქარესტში ძიუდოისტ ვაჟთა სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირი გაიმართება (ქალები ლისაბონში იჭიდავებენ).

შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ასეთი შემადგენლობა წაიყვანა: ნესტორ ხერგიანი და ვახტანგ ხოსიტაშვილი (60 კმ.), გიორგი ბაინდურაშვილი და საბა გავაშელიშვილი (81), ირაკლი ცირეკიძე და ზურაბ ზვიადაური (90), ლევან რაზმაძე და ნოდარ მეტრეველი (100). ზვიად ხანჯალიაშვილი და ადამ ოქრუაშვილი (მძიმე წონა).

როგორც ვხედავთ, წარმომადგენლები არ გვეყოლება ორ წონაში, რადგან ორგზის ევროპის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი (66) და დავით ქევხიშვილი (73) თავს შეუძლოდ გრძნობენ. რუმინეთის დედაქალაქში წარმატებულ გამოსვლას დიდი მნიშვნელობა აქვს სალიცენზიო ქულების დასაგროვებლად.

მართალია, წლეულს 13-16 სექტემბერს რიო-დე-ჟანეიროში მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო ხუთეულში მოხვედრაც საკმარისი იქნება პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურის მოსაპოვებლად, მაგრამ დაზღვევის მიზნით სალიცენზიო ქულებიც არ გვაწყენდა. თუმცა დღევანდელი მდგომარეობით რეიტინგში რამდენიმე ქართველი გამოირჩევა — კედელაშვილმა წლევანდელი პირველობით 100 ქულა დაიმსახურა და მესამე ადგილი უჭირავს. ასევე მესამეა 66 ქულით ქევხიშვილი. ერთი საფეხურით დაბლა დგას ხერგიანი, რომლის აქტივშიც 56 ქულაა. მსგავს მდგომარეობაშია ცირეკიძე, ოღონდ 70 ქულით (ამ წონაში 20 ქულით მეცამეტეა ზვიადაური). რაზმაძემ 90 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა, ლაშა გუჯეჯიანს კი 60 ქულით მეოთხე ადგილი უკავია. ზოგიერთ ქართველ ფალავანს იმდენი ქულა აქვს დაგროვებული, რომ საუკეთესო ათეულს მიღმაა, ამდენად, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რუმინეთის ტურნირს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა აქვს. მით უმეტეს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სალიცენზიო ტურნირებს მხოლოდ ბირმინგემი, როტერდამი და ბაქო უმასპინძლებენ.

◎ სუმო

რა მოსდის „შავ ზღვას“?



წლევანდელი მაისის ბაშო ლევან ცაგურიასთვის უიღბლო გამოდგა — ხუთი ორთაბრძოლიდან ყველა წააგო. ბოლო ტურში „კოკაის“ („შავი ზღვა“) მეტოქე გახლდათ სახელოვანი მონღოლი იოკოძუნა ასაშორიუ. პაექრობა 2,5 წამში ჩვენებურის მარცხით დასრულდა.

ხუთ-ხუთი მოგებით შეჯიბრებას ლიდერობენ ასაშორუ, კაიო, ჰაკუჰო, ასასეკირიუ, დეჯიმა და ფუტენო.

მაკუბიტას დივიზიონში 3 გამარჯვებით მეწინავეთა შორისაა ქართველი ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი), რომელიც ძურიოს დივიზიონში გადასასვლელად იბრძვის.

◎ ჭადრაკი

დიდი „სისხლისღვრა“ სოფიაში

ჭადრაკის მოყვარულთ, მასობრივ ყაიმებს რომ მიეჩვივნენ, ასეთი რამ, კარგა ხანია, არ უნახავთ: სოფიაში, მე-20 კატეგორიის სუპერტურნირზე, თითქოს დიდოსტატთა ერთმა ჯგუფმა ტურნირის პირველი ნახევრის შემდგომ შესვენებაზე ძალ-ღონე მოიკრიბაო, მეორემ კი მიღწეულის გამო ყურადღება შეასუსტაო — ყველა პარტია შედეგიანი იყო, ერთი სიტყვით, დიდი „სისხლის ღვრა“ გაიმართა, სიურპრიზების თანხლებით. ჯერ ერთი, ადამსმა ისე საოცრად „თოხლა“ საშიკირანის ტაქტიკური დარტყმა, რომ ინდიელს სხვა აღარაფერი დარჩენოდა, პარტიის იოლ გამარჯვებამდე მიყვანის გარდა.

პირველი დამარცხება იწვნია ტურნირის ლიდერმა მამედიაროვმა. გაამერიკელებულმა კამსკიმ მის წინააღმდეგ ისე გონივრულად გაითამაშა დებიუტი, რომ პაიკიც მოიგო და მატერიალური უპირატესობაც დიდებულად გამოიყენა აზერბაიჯანელთან ქულის მოსაპოვებლად.

შავებით მეორე გამარჯვება იზეიმა ტურნირის მასპინძელმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვესელინ ტოპალოვმა. მან სიცილიურ პარტიაში რუმინელი ნისიპიანუ დაჯაბნა.

ეტყობა, ინდოელ დიდოსტატს ადამსთან გამარჯვებით უფრო გაუჩნდა თავისი სიძლიერის იმედი და 7 ტურში პირველი დამარცხებით გამწარებული მამედიაროვი უფრო გაამწარა, დაამარცხა და ლიდერობაც ჩამოართვა. დანარჩენ პარტიებში დაზავდნენ ადამსი ტოპალოვთან, ხოლო კამსკი ნისიპიანუსთან.

მაშასადამე, 7 ტურის შემდეგ ლიდერობს საშიკირანი — 4,5 ქულა, 3,5-3,5 ქულა აქვთ ადამსს, მამედიაროვსა და ტოპალოვს, 3-3 ქულა — ნისიპიანუსა და კამსკის.

◎ ჩოგბურთი

სამპრასი კორტზე ბრუნდება



გუშინწინ ათენში დაიწყო მსოფლიო ჩოგბურთის ვარსკვლავ-ვეტერანების საერთაშორისო ტურნირი. პირველი პარტია აკროპოლის ძირში გაითამაშეს მსოფლიოს ექს-პირველმა ჩოგანოსნებმა, ამერიკელებმა პიტ სამპრასმა და ჯიმ კურიემ.

შეიძლება ითქვას, რომ ეს „დიდი მუზარადის“ ტურნირებში 16-გზის ჩემპიონის სამპრასის პირველი ვიზიტია მის ისტორიულ სამშობლოში. თუმცა, ადრე იგი, 17 წლის ჭაბუკი, მიიწვიეს საბერძნეთის სახელით სათამაშოდ, მაგრამ მიწვევის გარდა სხვა არაფერი მომხდარა. როგორც იცით, სამპრასმა სახელი ამერიკის სახელით ბრძოლაში გაითქვა.

ტურნირში კიდევ ბევრი ვეტერანი ჩოგბურთელი მონაწილეობს.

№ 95. მაისი. 2007 წელი. 19 მაისი.

● თამარ დედოფალი ვიყავ, თავი ზეცამდის ავიღე,
ზღვაში ჩავყარე სამნები, ხმელეთი ჩემსკენ დავიგდე,
ქაჯებსა დავდე იჯარა, ისპაანს ხარჯი ავიღე

◎ პოეტის ერთი ლექსი

ნანა ღვინეფაძე

ღალია

თამარ დედოფალი ვიყავ,
თავი ზეცამდის ავიღე,
ზღვაში ჩავყარე სამნები,
ხმელეთი ჩემსკენ დავიგდე,
ქაჯებსა დავდე იჯარა,
ისპაანს ხარჯი ავიღე;

ღადა-ღუდა ტყე ვიარე,
ქვაზე საყდარი ავიგე.
ამდენი საქმის მოქმედმა,
ცხრა ადლი ტილო წავიღე
ხალხური

შორს, კვიპროსზე ყოფილაო
თამარ მეფე დაკრძალული...
და მას აქეთ ამის გათქმა
ქართლში იყო აკრძალული...
იქ, კუნძულზე, ღალიაში
იყო თურმე თამარ ქალი...
მერე დრო-ჟამს წაუშლია
იმ მონასტრის ალი-კვალი...
კვიპროსზე კი კვიპაროსებს
ახსოვთ თურმე თამარ ქალი, —
ვინაც სტამბულს და დარუბანდს
შეუნგრია გულის კარი...

შორს, კუნძულზე, ზღვათა შორის
ქართულ მიწას მონატრული...
მეფეთ-მეფე, თამარ მზე და
თამარ — მთელი ქვეყნის თვალი!

იქ, კვიპროსზე, კვიპაროსებს
მართლა ახსოვთ თამარ ქალი?!
2006 წ.

P. S. აპრილის შუა რიცხვებში კვიპროსის კუნძულზე გაემგზავრა არქეოლოგთა და სტუდენტთა ჯგუფი ღალიის მონასტრის ნანგრევებში გათხრითი და სარესტავრაციო სამუშაოების გასაგრძელებლად. კეთილი იყოს მათი ზრახვა!...

მურად ჭოლოკავა-ძიძიგური

უშენობა

ჩემი ვაქიშვილის — გიას ხსოვნას

სხეულით თითქოს
შავ ლოდს ვატარებ,
იწყება სულის დიდი წამება,
ბედნიერებას რატომ ვადარებ
მტანჯველი სულის
გარდაცვალებას?!

შევყურებ მე შენს
მომღიმარ სურათს,
თითქოს მამშვიდებ,
მთხოვ პატიებას
და გულში ვიკრავ ნამიან სურას
ცრემლით რომ ხვდება
ჩემს ატირებას.

ვტოვებ ოთახს და
გავრბივარ გარეთ,
მიმაქვს ხსოვნათა მძიმე ტკივილი,
ისე მომკივის ქარი და ღამე,
თითქოსდა ვიყო სიკვდილმისჯილი.

მე აღსასრულის ვერ
ვუძლებ ლოდინს,
არ შემიძლია მეტის ატანა,
უფლის სახელით ყოველღამ მოდის
და მეცხადება ღმერთად სატანა.

როდემდე ასე?! სანამდე ასე
სიგიჟე ყოფის და
თვითმკვლელობის?!
ამ წუთისოფლის დაქცეულ გზაზე
საით ვიდოდით ან ვის ველოდით?!.

ახლა კი ლოდი მადევს ტიარად
და მიმაქვს სული როგორც წვალება
ბედნიერება ხსოვნა კი არა,
ყოფილა ხსოვნის გარდაცვალება.

◎ სამეგრელოს მხარე

ბიბლიოთეკები არ უნდა დაიხუროს!

უკვე მეშვიდე წელია, საქართველოს მასშტაბით ყოველი წლის გაზაფხულზე ტარდება საბიბლიოთეკო კვირეული. ამ ღონისძიებას მუდმივად აქტიურად ეხმიანებოდა სენაკის რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანება. მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა კვირეულის დახურვისადმი მიძღვნილი ღონისძიება. საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა ციური ხორავამ მიმოიხილა კვირეულის შედეგები და სათანადოდ შეაფასა გასულ წლებში ჩატარებული ღონისძიებები.

შეხვედრაზე კვირეულში მონაწილე ყველა ბიბლიოთეკის გამგე დაჯილდოვდა საჯარო ბიბილიოთეკისა და ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის სენაკის რაიონული კომიტეტის ქების სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

შეხვედრის მეორე ნაწილი გაგრძელდა დევიზით:

„ეს ცხოვრება უსასრულო ნუ გვგონია, მოვუაროთ, მოვეფეროთ ერთმანეთს“...

ღონისძიებას ლაიტმოტივად გასდევდა საბიბლიოთეკო სისტემაში მოსალოდნელი რეორგანიზაციით გამოწვეული ფარული სევდა და სინანული...

რაიონებსა და სოფლებში ბიბლიოთეკები არ უნდა დაიხუროს!

იოსებ გოგეჩია,
„სრ“ საკ. კორ.
სენაკი

◎ ელამი სარკე

ინფლაცია

მართალია ჟურნალი „იმპორტი“, სადაც ბენიტო საზღვარგარეთის ქვეყნებთან ინტეგრირების რედაქციას უძღვება, უსახსრობის გამო კარგა ხანია მცირე საჰონორარო ანაზღაურებაზე გადავიდა, მაგრამ თავად ბენიტომ ჭამა-სმის ძველებურ რიტმს ვერა და ვერ უღალატა. იმ დღესაც, როცა ამ ამბავს შევესწარი, იგი 12 საათისთვის უკვე ბუფეტში იყო დარჭობილი და გაზქურასთან მოტრიალე დიასახლისს შეკვეთას აძლევდა:

— აბა ჩქარა, ვიდრე ხალხი არ დაგსევია, ბათუმურა დამისხი, თან მწნილიც მოაყოლე!

— ლობიო ჯერ არ მოხარშულა, მწნილი კიდევ გუშინვე გამითავდა, — მიუგდო უკანმოუხედავად მასპინძელმა.

— ჰო, აბა, გაწყვიტე ყველაფერი, — იწყინა ბენიტომ, — ფენოვანი მაინც არა გაქვს?

— ფენოვანი, გენაცვალე, უკვე ლარი გახდა. ესეც არ იყოს, ნისიად ვეღარაფერს მოგცემ.

— რატომ ლამაზო? — დაუშაქრდა ბენიტო.

— იმიტომ, რომ ინფლაციამ შემჭამა. ერთი თვის წინათ მირთმეულისას, ჩემო კარგო, დღეს რომ გადაიხდი, იცი ზარალი სად ურტყამს?

— გადახდით დღესაც ვერ გადავიხდი, მაგრამ...

— ჰოდა დარჩები მშიერ-მწყურვალი!

— ცარიელა არაყი მაინც დამისხი.

— მარტო არაყს არა ვყიდი.

— რატომ, ეგეც გაინფლაციურდა?

— არა, მაგრამ უბრალოდ კლიენტთა მადის გასაძლიერებლად ვიყენებ. არაყი რომ არ მქონდეს, ამ კერძების ნახევარიც არ გაიყიდებოდა.

— ერთი ეგ მითხარი, ეს ინფლაციაა თუ რაღაც ჩემი ფეხები, საიდან აიკიდე?

— ავიკიდე კი არა, სულ ვეხვეწებოდი გამომყევი-მეთქი, მაგრამ უარზე იდგა. რა აკიდება უნდა, შეხვალ თუ არა ბაზარში, უმალ ფეხდაფეხ აგედევნება და მანამდე არ მოგცილდება, ვიდრე ხელჩანთაში საგულდაგულოდ არ მოკალათდება.

— მაგას მე ვუტირებ ყოფას, თუ აქ მასეთი ფასი აქვს, სულაც ერთიანად მოვხვეტავ და საზღვარგარეთ გავიტან საექსპორტოდ, — დაიქადნა ბენიტომ და მეორე დღეს, ინათა თუ არა, დეზერტირების ბაზარს მიადგა.

— მობრძანდით, ბატონო, რას ინებებთ, — შეიპატიჟეს აქეთ-იქიდან მოვაჭრეებმა.

— ინფლაციას დავეძებ, ხომ არ გექნებათ?

— მაგის მეტი რა გვაქვს, შე კაცო, — გაამხნევა მუშტარი ულვაშა გამყიდველმა, — ბაზარი ყულთამდე სავსეა ინფლაციით, ივაჭრე რამდენიც გინდა!

— აგაშენა ღმერთმა, — გაიხარა ბენიტომ, — მოიტა, ერთიანად ავიღებ.

— ვერ მოგყიდი, — „ატკაზი“ დაურტყა ულვაშამ.

— რატომ, კაცო, აკი ბევრიაო?

— არი, მაგრამ ცალკე ინფლაცია არ იყიდება.

— აბა როგორ ვიყიდო?

— მხოლოდ პროდუქტებთან ერთად — რასაც ხელს დაადებ, ყველას თავისი წილი ინფლაცია მოჰყვება.

— არა, მე წილი კი არა, საკუთრივ სუფთა ინფლაცია მინდა.

— ვა, ეს ვინა ყოფილა, — განერვიულდა ულვაშა, — ხომ გითხარი, ცალკე ინფლაცია არ იყიდებამეთქი.

— რატომ არა, ვინ აგიკრძალათ?

— ვინა და მთავრობამ, — თუ ვინმემ პროდუქცია უინფლაციოდ გაყიდა, დიდ ჯარიმას ავკიდებთო.

— რისთვისო, არ უთქვამთ?

— აბა რა ვიცი, ამ მთავრობისას რას გაიგებ — არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში, თვით ამერიკაშიც კი, ინფლაცია ცალკე არ იყიდება და ჩვენ რა გამონაკლისი ვართო.

— ვითომ ცალკე რომ გაყიდონ, სახელმწიფო დაზარალდება?

— პირიქით, ამით სახელმწიფო ბიუჯეტი მოიგებს კიდეც, მაგრამ ჩვენ თვითონ დავზარალდებით.

— თქვენ რატომ?

— ახლა პროდუქტების და ინფლაციის გადასახადს ერთად ვიხდით, მაშინ კი ცალ-ცალკე გვიანგარიშებენ.

— აა, გასაგებია, — თქვა ბენიტომ, — მოვაჭრეებს ამით გაბამენ, რომ მთავრობის საწინააღმდეგო აქციები არ მოაწყოთ.

— არ ვიცი, ძმაო, პოლიტიკაში ვერ ვერკვევი, — მოიბოდიშა ულვაშამ, — მაგრამ ამდენი ლაპარაკის შემდეგ ნუთუ ბოლოკს მაინც არ იყიდი?

— რატომაც არა, თუ იაფად მომცემ?

— ერთ შეკვრაში 1 ლარს გადაგახდევინებ, მეტი რა გინდა!

— მაგდენს, კაცო? — იძვირა ბენიტომ.

— აბა რა გინდა, თვის ბოლოკია, თანაც ამ ფასში ინფლაციასაც ვანგარიშობ.

— ეგ კარგია, რომ ინფლაცია არ გამოგრჩა, მაგრამ ამ შემთხვევაში ბოლოკის ასაკს აქვს რაიმე მნიშვნელობა?

— რა თქმა უნდა, აქვს.

— როგორ, სამი თვისა რომ იყოს, უფრო მეტი ეღირებოდა?

— თვითონ ბოლოკი არა, მაგრამ ინფლაცია ასაკის მიხედვით იანგარიშება.

— მაშინ მოვიცდი, — თქვა მშვიდად ბენიტომ, — წლისა რომ გახდება, მაშინ ვიყიდი...

ოტია ჩართოლანი

◎ გამოფენა

უშველის „პროკრედიტბანკი“ მხატვრების უფულობას?..

ქართული მხატვრობის, ჩვენი ნიჭიერი შემოქმედი ადამიანების მხარდასაჭერად „პროკრედიტბანკმა“ ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო. ამიერიდან „პროკრედიტბანკის“ ფილიალებში ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართება. „პროკრედიტბანკის“ მესვეურები აცხადებენ, რომ მათი მიზანია ხელი შეუწყონ ქართული სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციას და საზოგადოების დაინტერესების ზრდას მხატვრების შემოქმედების მიმართ.

პროექტის განხორციელება სწორედ ერთი წლის წინათ რუსთაველის პროსპექტზე გახსნილ „პროკრედიტბანკის“ ფილიალში დაიწყო და ეს პროექტი მოიცავს არა მარტო თბილისს, არამედ მთელ საქართველოს.

ამჯერად ქართველი მხატვრის გიორგი გუგუშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა-გაყიდვა სწორედ ქალაქის ცენტრში მდებარე ფილიალში გაიხსნა. აქ წარმოდგენილი ნამუშევრები უთუოდ დაინტერესებს მნახველს. გიორგი გუგუშვილის შემოქმედების თაყვანისმცემლებს სამი კვირის განმავლობაში შეუძლიათ ესტუმრონ „პროკრედიტბანკის“ ფილიალს და დაათვალიერონ გამოფენა.

ლალი ძინძლაძე

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

სხვადასხვა

● შუია ოკაცუ საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში მოღვაწეობდა, ძირითადად კი — სკანდინავიაში. მისი უზარმაზარი რეპერტუარი მოიცავს ძირითადად საოპერო და სიმფონიურ ქმნილებებს

⊙ დღეს — ხვალისთვის

შუია ოკაცუ — კეთილი შუამავალი

ასეთი საორკესტრო ფერადოვნება, რასაც აღწევს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი, უჩვეულოა და ფანტასტიკური. სიამოვნებით ვითანამშრომლებ მომავალში ამ საშემსრულებლო კოლექტივთან და, ცხადია, თეატრთან, რომელსაც ასეთი დიდი პოტენცია აქვს, — ასეთი იყო ის პირველი შთაბეჭდილება, რომელიც იაპონელ დირიჟორს შუია ოკაცუს შეექმნა ქართველ მუსიკოსებთან პირველივე შეხვედრისას, უფრო სწორად, რეპეტიციის შემდეგ. მას არ დაუმალავს იმის სურვილიც, რომ ეს შემოქმედებითი კოლექტივი გააცნოს იაპონელ მსმენელს, და რაზეც უახლოეს მომავალში უთუოდ იფიქრებს.

გასტროლიორის პირველი რეპეტიცია ვერდის „ტრუბადურმა“ მოიცვა, გუშინდელი დღე კი ვერდისავე „აიდას“ დაეთმო. იაპონელმა დირიჟორმა თავისი საშემსრულებლო ნება მკაფიოდ შეაგრძნობინა ორკესტრს. ამ თანამშრომლობის ნაყოფიერებას ქართველი მსმენელი სწორედ ამ ორ სპექტაკლში შეაფასებს. დღეს საღამოს ოპერის თეატრში „ტრუბადური“ იქნება წარმოდგენილი, 20 მაისს კი „აიდა“.

46 წლის შუია ოკაცუს თავისი ფრიად წარმატებული კარიერა 22 წლის ასაკში დაუწყია იაპონიის ოპერის ფონდში, შემდეგ კი ბონის სახელმწიფო ოპერაში დენის რასედეივისის ასისტენტი ყოფილა, რასაც მოჰყვა მთავარი დირიჟორის პოსტები ამავე ბონის თეატრის, შემდეგ კი შვედეთის მალმიოს სამუსიკო თეატრში.

დირიჟორი 1996 წელს საგანგებოდ მიუწვევიათ ბოსტონის სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორად, რათა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ერების ეროვნული ჰიმნები შეესრულებინა. როგორც სეიჯი ოძავას ასისტენტმა მან აგრეთვე მოამზადა იაპონიის ახალი ფილარმონიული ორკესტრი მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტის“ შესასრულებლად.

შუია ოკაცუ საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში მოღვაწეობდა, ძირითადად კი — სკანდინავიაში. მისი უზარმაზარი რეპერტუარი მოიცავს ძირითადად საოპერო და სიმფონიურ ქმნილებებს. უამრავი კომპაქტდისკი, რომლებიც მას ჩაუწერია შტუტგარტისა და მალმიოს სამუსიკო თეატრთან, მისი ფართო რეპერტუარის დასტურია. მან გამართა უაღრესად წარმატებული გასტროლები შტუტგარტის სასულე ორკესტრთან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში 1994 წელს, მოგვიანებით კი ესპანეთში. მისი საგასტროლო მარშრუტები მოიცავს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტს.

შუია ოკაცუსათვის ასევე ნაყოფიერი იყო 2001-2002 წლების სეზონი, როდესაც მან განახორციელა ბიზეს „კარმენისა“ და ვერდის „რეკვიემის“ წარმატებული პროექტები იაპონიისა და მალმიოს სამუსიკო თეატრებში. დირიჟორს შემოქმედებითი კონტაქტები აკავშირებს ისეთ დიდ მუსიკოსებთან, როგორიც არიან: პლასიდო დომინგო, მირელა ფრენი, შერილ მილნსი, ევა მარტონი, ფრანცისკო არაიზა, ინგმარ უიქსელი, სეიჯი ოძავა, რუნე კოლო.

იაპონელი დირიჟორის გასტროლი უთუოდ შეუწყობს ხელს თბილისის საოპერო თეატრის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას, ახალი შემოქმედებითი კავშირების დამყარებას.

რუსუდან მუხაძე

⊙ ინფორმაცია

კიდევ ერთი მკვლელობა თბილისში

თბილისის 165-ე საჯარო სკოლის მოსწავლის ნიკოლოზ ბუსქანაძის მკვლელობის ერთ-ერთ ვერსიად გოგონას გამო წარმოშობილი კონფლიქტი სახელდება.

ალნიშნულ ვერსიას საფუძვლად, ძირითადად, გარდაცვლილის თანატოლებისა და მეგობრების ინფორმაცია უდევს, რომლებიც აცხადებენ, რომ რამდენიმე დღის წინ გოგონასთან უთანხმოების გამო მისმა შეყვარებულმა ნიკა ბუსქანაძეზე შური იძია.

ამ დროისთვის უცნობია, მუშავდება თუ არა პოლიციის მიერ მკვლელობის სხვა ვერსიები.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი 16 წლის არასრულწლოვანია. მისი ვინაობა უცნობია.

მკვლელობა თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე მოხდა.

რამ გაამწარა მოზარდები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, მიმდინარე წლის მაისში განზრახ მკვლელობის 7 ფაქტი დაფიქსირდა, მათ შორის ხუთი შემთხვევა მოზარდების მიერაა ჩადენილი.

სტატისტიკის მიხედვით, დანაშაულის 4 შემთხვევა თბილისში, 2 — კახეთში, 1 შიდა ქართლში მოხდა.

მიმდინარე წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, განზრახ მკვლელობათა დინამიკა საგრძნობლად მატულობს. დანაშაულთა უმრავლესობა არასრულწლოვნების მიერაა ჩადენილი.

კიდევ ერთი დაშიფრული მოწმე

პოლიტიკური გაერთიანება „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი კიდევ ერთ დაშიფრულ მოწმეს ასახელებს.

როგორც სარიშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სამშობლოს ღალატის ბრალდებით დაპატიმრებული 12 პირის პროცესზე მოწმედ დაკითხული ვინმე „რომეო“ სინამდვილეში პარტია „XXI საუკუნის“ წევრია.

სარიშვილის თქმით, მათ შეძლეს დაშიფრული მოწმის „რომეოს“ ვინაობის დადგენა და იგი 1985 წელს დაბადებული, პარტია „XXI საუკუნის“ რიგითი წევრი ირინა ჯუღლაძე ალმოჩნდა.

— ჯუღლაძე ორგანიზაციის საქმიანობაში აქტიურად ჩართული არ ყოფილა, მხოლოდ ერთხელ, ერთ-ერთი ყრილობის დროს იგი ხმების დამთვლელ კომისიაში ირიცხებოდა, — აღნიშნა სარიშვილმა.

მისივე განცხადებით, ჯუღლაძემ ჩვენება ალნიშნული პარტიის ლიდერის ელიზბარ ჯაველიძის წინააღმდეგ მისცა და ამასთანავე განაცხადა, რომ იგი ჯაველიძის მრჩევლად მუშაობდა.

პრესკონფერენციაზე სარიშვილმა ხელისუფლებას, ინიციატივის სახით, დაშიფრული მოწმეებისთვის პლასტიკური ოპერაციების გაკეთება ურჩია.

მანვე დასძინა, რომ ხელისუფლების მიერ მათი ორგანიზაციის წევრები სისტემატურად იდევნებიან და პარტია ყველაფერს გააკეთებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი მოქმედებები აღიკვეთოს.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

⊙ მოდა

ატრიბუტი ზაფხულის ცხელი დღეებისთვის

ზაფხულის სეზონისთვის ქალის გარდერობში მთავარ ადგილს საცურაო კოსტიუმები იკავებს. მაისიდან მოყოლებული თითქმის ყოველ კვირას დიზაინერები მხოლოდ ამ კოსტიუმების ჩვენებას აწყობენ.

ამ სეზონზე საცურაო კოსტიუმებით, განსაკუთრებით, ჟან პოლ გოტიე, ფენდი, მაიკლ კორსი, ალექსანდრ მაკუინი დაინტერესდნენ და მათ ზღვისა და რომანტიკის მოყვარულ ქალებს საცურაო კოსტიუმების მრავალფეროვანი არჩევანი შესთავაზეს.

მოდის წამყვანმა დიზაინერებმა, ამ სეზონზეც, კერძოდ, ბიკინების ერთ-ერთ სახეობას, სამკუთხედის ფორმისას — ე. წ. „ტანგას“ მიანიჭეს უპირატესობა.

რამდენიმე წლის წინათ, ამგვარი მოდელის წარდგენისას, კრიტიკოსები აღშფოთდნენ, რადგან იგი ზედმეტად ვულგარულად მიიჩნიეს.

ფერების თვალსაზრისით, ამჯერად, მოდელებს დიდი ცვლილება არ შემოუტანიათ, კვლავ აქტუალურია ფერადი, კაშკაშა, თვალისმომჭრელი საზაფხულო კოსტიუმები (გარუჯულ სხეულს ეს ფერები უფრო ლამაზად და ეფექტურად წარმოაჩენს). ასეთი პიკანტური მოდელები კი, ბუნებრივია, ქალებს მეტ მიმზიდველობას ანიჭებს. ზოგიერთ საზაფხულო კოსტიუმს, მზის სხივებისგან დასაცავად, შესაბამისი ფერისა და სტილის შლაპაც ახლავს. მასა, ძირითადად, იგივეა, ორიგინალური სიახლით ქსოვილები არ გამოირჩევა, თუმცა, ფერადი მძივები, საყურეები და სხვა აქსესუარები, ამ სეზონისთვისაც, ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტს წარმოადგენს.

ალბათ, ყველას ახსოვს, რომ რამდენიმე წლის წინათ, ბიკინებს, გამორჩეულად, ვულგარული ქალები იცვამდნენ, დღეისთვის კი იგი მოდასაყოლილთა განუყრელი სამოსია.

ალსანიშნავია, ალექსანდრ მაკუინის მოკლე მაისურიანი საცურაო კოსტიუმები, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურეს.

საინტერესო მოდელები შემოგვთავაზა, აგრეთვე ფენდიმ — მან ქალის საცურაო ბიკინს, მისივე ფერის მოკლე ქვედაბოლო შემატა, რითაც სუსტი სქესის ისეთ წარმომადგენლებს შეუქმნა კომფორტი, რომლებსაც ჭარბი წონა აწუხებთ.

ასე რომ, ქალები, რომლებიც ზაფხულის ცხელი დღეების გატარებას ზღვის სანაპიროზე ამჯობინებენ, გაითვალისწინონ, რომ საცურაო კოსტიუმების არჩევანი, ამჯერადაც დიდია...

ლელა დონაძე

საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტის ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები თანაგრძნობას უცხადებენ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს ალექსანდრე ჯიბლაძეს დის

გულნარა დავითაძის

გარდაცვალების გამო.

განცხადება

შპს „თბილმეტრომშენი“ აფრთხილებს ყველა იმ ფიზიკურ პირს, დროულად გაანთავისუფლონ ზღვის უბნის II და IIა მიკრორაიონში მდებარე №№204, 205, 225, 226 მშენებარე კორპუსებში უნებართვოდ დაკავებული ბინები. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

„თბილმეტრომშენის“ ადმინისტრაცია

2007 წლის 11 ივნისს, 14 სთ-ზე ჩატარდება სს „ელექტროშედუღების“ აქციონერთა რიგგარეშე კრება.

დღის წესრიგი:

1) სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;
2) საწესდებო კაპიტალის გაზრდა.

საალრიცხვო თარიღია 2007 წლის 11 მაისი.

ბოლო გვერდი

● სრულიად საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში არსებულ ქალთა კონსულტაციაში ორსულები უფასოდ ღებულობენ კონსულტაციებს

◎ სულიერება

ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაფე

20 მაისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მამებს: იოანე ზედაზნელს, აბიბოს ნეკრესელს, ანტონ მარტყოფელს, დავით გარეჯელს, ზენონ იყალთოელს, თადეოზ სტეფანწმიდელს, ისე წილკნელს, იოსებ ალავერდელს, ისიდორე სამთავნელს, მიქაელ ულუმბოელს, პიროს ბრეთელს, სტეფანე ხირსელს და შიო მღვიმელს.

ღირსმა იოანე ზედაზნელმა სასულიერო განათლება ანტიოქიაში მიიღო და სრულიად ახალგაზრდა ბერად აღიკვეცა, უდაბნოში წავიდა სამოღვაწეოდ...

ერთხელ ღირს იოანეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, თავის მოწაფეთა შორის თორმეტი ბერი აერჩია და მათთან ერთად საქართველოში წასულიყო, რათა წმიდა ნინოს მოქცეულ ხალხში ქრისტეს სჯული განემტკიცებინა.

წმინდა იოანემ გამოარჩია შიო, დავითი, ანტონი, ისე, იოსები, თადეოზი, სტეფანე, ისიდორე, მიქაელი, პიროსი, ზენონი და აბიბოსი. მცხეთას მოახლოებულ მამებს წინ მეფე ფარსმანი და კათოლიკოსი ევლავიოსი მიეგებნენ. წმიდა მამებმა თაყვანი სცეს მირონმდინარე სვეტს და უფლის კვართს. მამები უბადრუკ კელიებში ცხოვრობდნენ...

მოწაფეების გასტუმრების შემდეგ წმინდა იოანე ზედაზენზე დაბრუნდა, დატოვა თავისთან ილია დიაკონი და ჩვეულ მოღვაწეობას შეუდგა. წმინდა იოანეს ლოცვით მრავალი სასწაული აღსრულდა. მისი ვედრებით აღმოცენებულ წყაროს დათვი შემოეჩვია, წმინდა იოანეს ლოცვით დათვი მოშინაურდა და ადამიანებს არ ერჩოდა.

წმინდა იოანე დროდადრო თავისთან იბარებდა მთელ საქართველოში გაბნეულ მოწაფეებს, ხანაც თვითონ მიაკითხავდა ხოლმე და ამოწმებდა, თუ რა საზომს იყვნენ მიღწეული მეტყველ ცხოვართა მწყემსნი... ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ წმინდა იოანემ ლოცვით მიაბარა უფალს თავისი სული. მოწაფეებმა იგი ზედაზნის ძირას მდებარე მონასტერში წაასვენეს.

წმინდა მღვდელმოწამე აბიბოსმა მრავალი წარმართი მოაქცია ქრისტეს სჯულზე. სპარსელებმა ის ქვებით ჩაქოლეს. აბიბოს ნეკრესელის უხრწნელი ნაწილები მცხეთის სამთავროს მონასტერში, წმიდა ტრაპეზის ქვეშაა დაფლული.

წმინდა ანტონ მარტყოფელი მუდამ თან ატარებდა მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს. მან მონასტერი ააშენა თანამოსაგრეებისთვის. თვითონ კი მარტო მთის მწვერვალზე აშენებულ სვეტზე დაეყუდა. ღირსი ანტონი თავის მიერ დაარსებულ მონასტერშია დაკრძალული.

წმინდა ისიდორე სამთავნელი ქართლში ქადაგებდა. მან დააარსა რეხულას აღმოსავლეთით სამთავისის მონასტერი. მისმა მოწაფეებმა იქვე დაკრძალეს.

წმინდა თადეოზ სტეფანწმიდელი თავდაპირველად მცხეთაში მოღვაწეობდა. შემდეგ წავიდა ურბნისში. აღესრულა წლევის მთის მღვიმეში. დაკრძალულია იქვე.

წმინდა სტეფანე ხირსელმა ხორნაბუჯთან დააარსა ხირსის მონასტერი. დაკრძალულია წმინდა სტეფანე პირველმოწამის სახელობის ტაძარში, სამკვეთლოსთან.

წმინდა ზენონ იყალთოელი ქადაგებდა კახეთის მთიანეთში, შემდეგ იყალთოში დააარსა მონასტერი. დაკრძალულია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელობის ტაძარში.

წმინდა ასურელ მამათა დაარსებულ სავანეებში იწვრთნებოდნენ ქართველთა შვილები გონებითა და ზნეობით.

მოამზადა
გიული ლიპარტიამ

◎ გვემრავლოს!

მრავალშვილიანობა ოჯახის საძირკველია

ბუნებრივია, ახალგაზრდა წყვილები მშობიარობისთვის ისეთ სამშობიარო სახლს ირჩევენ, სადაც დედისა და ბავშვის მაღალ პროფესიულ მომსახურებაზე აბსოლუტური გარანტია ეძლევათ.

ასეთს ეკუთვნის სრულიად საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლი. აქ მშობიარეთა მიმართ მკვეთრად ინდივიდუალური მიდგომაა. თუნდაც ამ ორი ოჯახის მაგალითი: ახალგაზრდა მშობლები ლელა კაკუბავა და თენგიზ კალანდია, დოდო მარაქველიძე და ბადრი ჯანელიძე — ერთნი მეოთხე და მეორენი მეხუთე შვილის შეძენით ხარობენ. ლელა და დოდო ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთ პალატაში წვანან. ორივენი ექიმ-გინეკოლოგმა ნიკა ჩიგოგიძემ და მისმა ბრიგადამ ამშობიარა.

ლელა სოხუმელია, პროფესიით ექიმია. მას გოგონა მარიამი შეეძინა. შინ ლუკა, მიხეილი, ელენე ელოდება...

— მადლობელი ვარ ამ სამშობიარო სახლის, აქ ყველაფერი უფასოა. ჩემი ქმარი ინჟინერ-მშენებელია, არ მუშაობს, მეგობრები გვეხმარებიან. უფასო მშობიარობამ ოჯახში მდგომარეობა შეგვიმსუბუქა. ამას მარტო ჩემზე როდი ვამბობ, ყველას მიმართ ასეთია აქაური სამედიცინო პერსონალი. მეოთხე შვილსაც საკუთარი რძით გავზრდი.

მის გვერდით დოდო მარაქველიძე თავისი მეხუთე შვილით ირაკლით ხარობს. სწორედ მშობიარობის წინ პაატა ბურჭულაძის ფონდმა „იავნანამ" მის ოჯახს რუსთავში სამოთახიანი ბინა მისცა.

— გიორგი, ბექა, მარიამი, თამარი შინ მელოდებიან. მათ უკვე იციან ძამიკო ირაკლი როდ შეეძინათ. ჩემი მეუღლე საფუნთუშეში მუშაობს, მე დიასახლისი ვარ. უბინაო და გაჭირვებული ვიყავით, სოციალურ სამსახურს მივაკითხეთ, რომელმაც „იავნანაში" ჩაგვრთო და აკი გვეშველა, — გვითხრა დოდომ.

სრულიად საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში არსებულ ქალთა კონსულტაციაში ორსულები უფასოდ ღებულობენ კონსულტაციებს ქალები არა მარტო დედაქალაქიდან, არამედ ქვეყნის მასშტაბით, მათ ხელთ ვაუჩერი უჭირავთ და ამ სამშობიარო სახლში უფასოდ მშობიარობენ. სამშობიარო სახლს სახელმწიფო აფინანსებს, რომელსაც ხელშეკრულება აქვს დადებული სოციალურ ფონდთან.

... ის იყო მეოთხე და მეხუთე შვილების დედებს დავემშვიდობე, სიღნაღის რაიონის ბოდბის ეკლესიიდან მამა თეიმურაზის მეუღლეს ნანა ეძგვერაძეს მეორე შვილი, ვაჟი შეეძინა — ლუკა...

მრავალშვილიანობა ხომ საქართველოს უკვდავებაა, დაგვილოცნია აქ დაბადებულთა მომავლის გზა...

ნათელა ფაილოძე

სურათზე: დოდო მარაქველიძე და ლელა კაკუბავა თავიანთი ჩვილებით.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

◎ ანეკდოტები

— ჩემი ძაღლი ჩემსავით ჭკვიანია.

— მართლა? გასაკვირია, მაგრამ ასეთ რამეს ხშირად ვერ მოისმენ, ჩვეულებრივ ადამიანები თავიანთ პირუტყვს აქებენ ხოლმე.

* * *

დიდია ბეჭდვითი სიტყვის ძალა! მაგრამ დაუბეჭდავისა — უფრო მეტი...

* * *

— მიხო, რად დაგიწერეს ორიანი ფიზკულტურაში?

— მასწავლებელმა მითხრა, ხომ ხედავ ვირს, დედა შეაგინეო.

— მერე რა?

— რა და, ვუპასუხე, კარგად გხედავ, მასწავლებელო, შენი დედაც-მეთქი...

* * *

სიცოცხლის პროზა სჯობს სიკვდილის პოეზიას.

* * *

ვიქტორ ჰიუგო ერთხელ პრუსიაში წავიდა.

— რას საქმიანობთ? — შეეკითხა საზღვარზე ჟანდარმი, რომელიც სპეციალურ ანკეტაში რაღაცას იწერდა.

— ვწერ, — უპასუხა მწერალმა.

— მე გეკითხებით, რით შოულობთ პურს არსობისას?

— კალმით.

— მაშ ჩავწეროთ: ჰიუგო, კალმებით მოვაჭრე.

◎ კადრი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამოცემლობა მაესტროში".
მ. პოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1" ძიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაბეჭდილა ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ითხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.